№ 2800
ხუთშაბათი,
21 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2800
ხუთშაბათი,
21 აპრილი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ღიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 27.

17 აპრილს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

ნინა ილიას ასული ნანობაშვილისა

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი განსვენებულისა **სოლომონ ლევანის ძე ნანობაშვილი** შვილებითურთ და განსვენებულისა **დარო ილიას ასული ნათიძისა და მული მარიამ ლევანის ასული გომელაურისა.** მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, 21 აპრილს, დილის 9 საათზედ არშაკ ხაჩატუროვის სახლიდან (მეორე კირპიჩნის ტუპიკი, სახლი № 7) ვერის ეკლესიაში და დაკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (1—187—1)

პარასკევს, 22 აპრილს, 12 საათზე მოღნინის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ისაი იაგორის ძის ფითოევისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ გარდაცვალებულის ქვრივი **ოლღა სტანისლავის ასული ფითოევისა და ქალი მარგარიტა ისაიას ასული ბელეცკისა.**

კანტორა „ისაი იაგ. ფითოევის და კო" ტფილისში პარასკევს, 22 აპრილს, დაკეტილი იქნება, რადგან დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულის

ისაი იაგორის ძის ფითოევისა, 2—189—1

თევდორე ლევანის ძე კალანდარიშვილი მეუღლით და შვილებითურთ გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც დეპეშით თუ პირად დასწრებით პატივი სცეს და მონაწილეობა მიიღეს მათ მწუხარებაში უდროვოდ დაკარგულის შვილის, გიმნაზიის V კლასის მოსწავლის **დათიკოს** უკანასკნელად გამოთხოვების დღეს.

ნამდვილი ცელულიარული

თესლი აბრეშუმისა

ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. ჰ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსრველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—25)

სავაჭრო სახლი

ა. ვ. გაიდამაკინისა და ამხ.-სა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ შევიძინეთ მთელი საქონელი ამიერ-კავკასიის საწყობებისა, რომელიც ეკუთვნოდა შემდეგ ქაღალდის ქარხნების ადმინისტრაციას: ქაღალდის ქარხანას გ. ი. პალლიზენს და კომპ., რჟევის ქაღალდის ქარხნის ამხანაგობას და კოშელევის ქარხნების სააქციონერო საზოგადოებას.

გარდა ამისა ჩვენი სავაჭრო სახლი წარმომადგენელია **ფინლიანდიის საუკეთესო ქარხნებისა,** რომელნიც ეკუთვნიან სააქციონერო საზოგადოებას **კიუმმენეს, კუზანოვსკისა და ვოიკისას,** სადაც მზადდება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ხარისხის ქაღალდები. ფოსტის, საწერი, სასტამბო, საალბომო და სხვა, ექვს მილიონ მანეთზე მეტად ღირებული; აგრეთვე რუსეთის ქარხნების—**სპოსობინისა და კროტოვის** გორბატის ქაღალდის ქარხანათა ამხანაგობისა, სადაც მზადდება უმაღლესი ხარისხის ფოსტის, საწერი და სხვა ქაღალდი, და **ნ. ნ. ბრაკერის** ქარხნისა, სადაც მზადდება სახვევი ქაღალდები და პარკები.

ვურჩევ რა შეიძინონ ზემო აღნიშნულ ქარხნების ქაღალდი, ვსთხოვ პატივცემულ საზოგადოებას ყურადღება მიაქციოს ჩვენ სავაჭრო სახლს, კეთილ ინებოს და დაგვიკვეთოს საქონელი. თვითეულ დაკვეთას ავასრულებთ ბეჯითად და კეთილ-სინიდისიერად.

გოლოვინის პროსპექტი, მანთაშევის სახლი. (10—3)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუდარებლად. (0—6)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ხშაბათს, 21 აპრილს, გაიმართება წარმოდგენა. სხვათა-შორის გაიმართება სამი ჭიდაობა. 1. **კავკასიური ჭიდაობა** ფალავნე. **ვანო თარხანოვისა** და **ისაკა ახალაშვილისა.** გამარჯვებულს ვერცხლის საათი; 2. ცნობილ ფალავანს **კაბილაშვილისა** და **ლილოელისა.** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. 3. ცნობილ ფალავანთა **ჯიბგირისა** და **ზარიძისა,** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. (1—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

ნ. ვ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლაჟბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ძ. მ. მაჩხმეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საზ.ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოს:

ხ. ი. მაჭაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ № 54ც ტელეფონი № 825. (90 296—23).

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—408—56)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—8 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—16)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—60)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

მიიღებს ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდიას (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ტფილისის გუბერნატორის ნებართვით ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება

ხელოსანთა კრება

22 აპრილს კალატოზების, 23—ხუროების და 25 მხატვრების. (2—უ.—1)

ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო

ამხანაგობის „კოლხიდა"-სი

დანიშნულია 30 აპრილს საღამოს 6 საათზე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1904 წ. ანგარიშისა.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიის 1904 წლის ანგარიშის გამო.
3. მოხსენება გამგეობისა ამხანაგობის ოპერაციების შესახებ.
4. განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1905 წლისათვის.
5. არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.
6. გამოცვლა და შევსება წესდების ზოგიერთ მუხლებისა. (1—6.—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

19 აპრილი

გონკონგი. იუწყებიან, რომ ჩინეთის ზღვაში, პარაცელზის კუნძულებსა და კუნძულ ლიუცონის შუა ტაიფუნი (გრიგალი) მძვინვარებს და ანამისკენ მიიმართება. ბალტიის ესკადრა საფრთხეშიაო.

ლონდონი. 19 აპრილი. იაპონელთა საპრიზო სასამართლომ დაადგინა, რომ გემები საპრიზო დავლად იქმნას ცნობილი და დასკუთრებული იაპონიის საკომერციო ფლოტის რეზერვის გასაძლიერებლად. გემი „სიამი" დაფასებულია 423,800 გირვანქა სტერლინგად, „ბირმა" 1,500-ად, „ვიკფილდი"—97,500-ად და „დოლარი"—96000-ად.

20 აპრილი

ხარბინი. 19 აპრილი. 10 აპრილს რენენკამფმა დაზვერა ადგილები კაიუანის მხარეზე. ჩინელები ამბობენ, უმთავრესი ჯარი ტელინის ახლოს დგასო. კორესპონდენტთან საუბრის დროს გენერალმა ლინევიჩმა სთქვა, „ღვთის შეწევნით, თუ ჯარი გამოგზავნეს, ყველაფერს ვიქ, რასაც კი შევიძლებ ჩემი სუსტი ძალ-ღონითაო. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ აღარ დავიხევთ უკანო.

ბერლინი, 19 აპრილი. პოლკოვნიკის გედკეს აზრით, მას შემდეგ, რაც გენერალი ლინევიჩი მთავარ-სარდლად დაინიშნა, რუსის ცხენოსან ჯარს მეტი მოძრაობა დაეტყო და ენერგიულად მოქმედებს. იაპონელები კი, პირიქით, არავითარ მოქმედების გზას არ ადგიან. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მათი ზარალი დიდია. რუსებს იმაზე ნაკლები ზარალი მოუვიდათ, რაც უწინ ეგონათ. მაისში შესაძლებელია ძალიან გამწვავებული დრო დადგეს. „ვინ. ალგე. კორ." ფიქრობს, ესკადრების შეტაკება კუნძულ ცუსიმას ახლოს მოხდება, სადაც, როგორ ამბობენ, ამ, ჟამად ტოგო იმყოფება, ან ვლადივოსტოკის ახლოს.

პარიზი. კუნძულ კრიტის მჟვრველ სახელმწიფოთა ელჩები და იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი მოკლე ხანში შეუდგებიან კრიტზე საადმინისტრაციო რეფორმების განხილვას.

ნიუ-იორკი. ჩიკაგოში გაფიცვა არ შეწყვეტილა. გაფიცულნი ესროდნენ მყავბადით გავსებულ კვერცხებს.

ლონდონი, 19 აპრილი. ინგლისის კონტრნაღმიანი გემი „სირენი" ჩაიძირა ისლანდიის ზღვაში ვარჯიშობის დროს. მეზღვაურები გადაარჩინეს.

სტამბოლი, 19 აპრილი. იემენიდან ძლიერ ცუდი ამბები მოდის. ყოველ წუთს ელიან ქალაქ სანის აღებას. ქალაქში მხოლოდ 3 ათას კაცისაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარია. ქალაქზე ალყად არის შემორტყმული 50 ათასი კაცი. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს იემენში 50 ათასი სარეზერვო ჯარი, რომელიც ტრაპეზუნში დგას. ეს ოსმალეთის საუკეთესო ჯარია. ოსმალეთის უმაღლეს წრეებში ფიქრობენ, უმჯობესია ხელი აიღონ იემენის არაბთა დამორჩილებაზე და დანიშნონ იქ მეფის მოადგილე, როგორც ეს თავის დროზე ეგვიპტეში მოახდინეს. ამ თანამდებობაზე აირჩიონ არაბი და მიანიჭონ ხალხს განსაზღვრული დამოუკიდებლობა ოსმალეთის მეთაურობით.

ტანჟერი, 19 აპრილი. გრაფი ტატენბახი წავიდა ფეცს გერმანიის მისიის სხვა აფიცრებთან ერთად. მავრთა ბრბო მიეგება მას, როგორც მაროკოს დამცველს. გრაფმა გამოაცხადა, ჩემი მისიის უმთავრესი მიზანია მაროკოს დამოუკიდებლობის დაცვა და იმ დრომდე არ დავბრუნდები, სანამ არ დავრწმუნდები, რომ სულთანი ისეთს არაფერს ჩაიდენს, რაც დიდ კრების პოლიტიკას ავნებსო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

19 აპრილი

ლონდონი, „დეილი ტელეგრაფ"-ი. სინგაპურიდან იუწყებიან: ჰფიქრობენ მომავალ 10 დღეში საყურადღებო ამბები მოხდებაო. ოფიციალური ცნობა მოსულა, საზოგადოება დიდის ინტერესით ელის ამბებს. ფოსტა იგვიანებს, რადგან წყნარ ოკეანეში მოსიარულე გემები კუნძულებზე შეივლიან ხოლმე ინსტრუქციისათვის. კიდევ მიიღეს ცნობა, რომ ბალტიის ესკადრამ ორი გემი დაიჭირა ბრინჯით დატვირთულიო.

ცინტაუ „რეიტერი". კრეისერმა „ფიურსტ ბისმარკ"-მა, ცინტაოს ახლო მდგომმა, 17 აპრილს ბევრი დეპეშა მიიღო უცნობ ენაზე გემიდან, რომელიც დაახლოვებით 25 მილის სიშორეზე უნდა იდგეს.

ჩანჩავაძა, 19 აპრილი. საყურადღებო ცვლილება არა მომხდარა. ხუნხუზების რაზმები უფრო კარგად მოეწყვნენ; თოფის სროლაში ვარჯიშობენ, საველე ზარბაზნები აქვთ. ცუდი ამინდი დგას, წვიმს.

საიგონი, 19 აპრილი საფრანგეთის ადმირალი ჟონკიერი საიგონიდან სადღაც წავიდა.

პარიზი. იაპონია ჰფიქრობს, თავისი დიპლომატიური მისიები ლონდონსა და პარიზში საელჩოებად გადააქციოს და პარიზის საელჩოსათვის დიდი სასახლე შეიძინოს.

პარიზი. გამომძიებელმა მეთქმულების საქმეზე გამოძიება დაასრულა. ბრალდებულთ ის ბრალი ედებათ, რომ სხვა პირებისათვის წინადადება მიეცათ, შეთქმულობა გავმართოთო, მაგრამ სხვა პირებს ეს წინადადება უარ-ეყოთ; ამას გარდა სამხედრო სურსათის შენახვაც ბრალდებათ. ზოგიერთ დეპარტამენტის საბჭომ სურვილი გამოსთქვა, ეკლესია სახელმწიფოსაგან უსათუოდ განცალკევდესო.

სტამბოლი, 19 აპრილი. გუშინ მიტროვიცას ახლოს სადგურზე ერთმა მაჰმადიანმა მოჰკლა ვესტერის კაიმაკი. ოსმალოს ჯარი 16 აპრილს თავს დაეცა ბერძენ მეამბოხეთა დიდ რაზმს ველკომენში, ფლორინას სამხრეთით, მონასტირის ვილაეტში. მოკლულია სამი მეამბოხე, დაჭრილია ხუთი, ტყვედ წაიყვანეს 47, მათ შორის ორი ბერძენი აფიცერი ფორმით, არტილერიის მაიორი ლანიდისი და ლეიტენანტი ლამბროსი. შეტაკების დროს დაიჭრა ოსმალოს ერთი სალდათი.

სოფია, 19 აპრილი. რამდენიმე დღის წინად 80 კაცისაგან შემდგარი ბოლგარელ მეამბოხეთა რაზმი თავს დაესხა ბერძენ-ვლახთა პატარა ქალაქს კლისურას და მოჰკლა 60 კაცი, მათ შორის ბევრი მათგანი, რომელნიც თავს დაესხნენ ზაგორიჩანს. უსკიუბიდან იუწყებიან, რომ იქ გაჩნდნენ სერბიელი ვაჭრები, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, სერბიის სარეზერვო აფიცრები ყოფილან.

ადესა, 19 აპრილი. სევასტოპოლიდან მოსული სამხედრო რაზმი რუსეთისა და როსსიის საზოგადოებათა გემებზე დააყენეს. გემთა მიმოსვლა განახლდა.

ვარშავა, 19 აპრილი. გუშინ გაზეთები არ გამოსულა. დღეს მუშები შეუდგნენ მუშაობას. შემდეგ ბევრ ქარხანაში გაფიცვა დაიწყო.

ლოძი, 19 აპრილი. გუშინ არ მოხდა მუშების საერთო მანიფესტაცია, რომელსაც ამ დღეს ელოდნენ. დღეს ლოძში ყველა ქარხანა მუშაობს. გუშინ ვიღაც უცნობმა ესროლა უმთავრეს ქუჩაზე ბოქაულს, რომელსაც ასცდა ტყვია. უცნობი კაცი დაიმალა.

ჩვენი ავტონომია და მისი მოწინააღმდეგენი

სწორედ გაუგებარია, მეტი რომ არა ვსთქვათ, ის წინააღმდეგობა, რომელსაც იწვევს ავტონომია ზოგიერთების მხრით. გაუგებარია, რადგან არ არსებობს არავითარი საბუთი ამ წინააღმდეგობის გასამართლებლად, არავითარი მიზეზი ამის ასახსნელად, გარდა პირად, ვიწრო თავმოყვარეობისა, განზრახ ფაქტების დამახინჯებისა და ცილისწამებისა. ჩვენ აქ არ გვინდა ვილაპარაკოთ ისეთ ბიუროკრატიებისა და კონსერვატორების შესახებ, როგორნიც არიან ბ-ნნი მ. მაჩაბელი და მისი მეგობრები: მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, მათი დღენი დათვლილია და, რაც უნდა თავისებური „მილიცია" შეადგინონ, სამჯერაც არ იყივლებს მამალი, რომ მათი სახსენებელიც არ იქნება. არა, გვინდა მივაქციოთ ყურადღება სულ სხვა ბანაკს, „მოგზაურის" თანამშრომლების წინააღმდეგობას.

რა არის ჩვენი ავტონომია? ეს არის საუკეთესო დემოკრატიული, ხალხური წესწყობილება, რომელიც კი შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმოქმედების პრინციპის აღიარება არა მარტო სიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ხალხი თვითონ იყოს თავის-მმართველი, მაგრამ ჩვენი ეროვნული ავტონომია არ არის ისეთი, სადაც გაბატონებული უნდა იყოს ოლიგარხია დაუმცირესობა. არა ჩვენ ვთხოულობთ ისეთს ეროვნულ ავტონომიას, რომელიც იქნება სრულიად დემოკრატიული, რომელიც მოწყობილი იქნება ერის უმრავლესობის— მშრომელი ხალხის დასაცველად, რომელშიაც გაბატონებული იქნება უბრალო ხალხი. ჩვენ გვინდა ავტონომია მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ხალხის სარგებლობა და თვით-მმართველობა; ხალხს არასოდეს არ შეუძლია პრაქტიკულად განახორციელოს თვითმართველობა დიდს, ეროვნულ, ცენტრალურ სახელმწიფოში. ვინც მართლა ესწრაფვის დემოკრატიულ წესწყობილებას, ის აუცილებლივ მივა იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო ფორმა ამ წესწყობილებისა, განსაკუთრებით დიდს სახელმწიფოში, არის ავტონომია და ფედერაცია. თვითმოქმედება შეუძლებელია იქ, სადაც მთელი დიდი სახელმწიფო ჩამოსხმულია ერთს კალაპოტზე, სადაც ყველა ერთის წესით ცხოვრობს, სადაც ყველაფერი ემორჩილება ერთს ჩვეულებას, სადაც ერთის ადგილიდან გამოდის კანონი და ბრძანება და სხვები ყველანი ამ ბრძანების გამგონებელნი და აღმსრულებელნი არიან. აქ ხალხი ვერასოდეს ვერ მიიღებს მონაწილეობას მმართველობაში; აქ როგორც არ არის თვითმოქმედება, ისე არ არის თავისუფლება და ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ცენტრალიზაცია, ადრე თუ გვიან, სრულს მონობამდის მიიყვანს ხალხს.

ვერც ერთი დემოკრატი ხმას ვერ ამოიღებს თვითმმართველობის წინააღმდეგ, რადგან ეს თავისთავის უარყოფა იქნებოდა. ვერაფერს იტყვიან, რასაკვირველია, ჩვენი მოწინააღმდეგენიც; ხოლო მათ არ უნდათ სავსებით განავითარონ თვითმმართველობა და მისცენ მას ფართო ასპარეზი. თვითმმართველობა აუცილებლად საჭიროა, რადგან იგი საუკეთესო სკოლაა ხალხის აღსაზრდელად, საუკეთესო საშუალებაა ხალხის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ეს თუ ასეა, მაშინ ისიც უეჭველია, რომ თვითმმართველობა კი არ უნდა იყოს ისე შებორკილი და სამასხარო დაწესებულება, როგორიცაა დღევანდელ რუსეთის ერობა, არამედ უნდა იყოს, რაც შეიძლება, ფართო, არამც თუ მარტო აღმასრულებელი ორგანო თავის შინაურ საქმეებში, არამედ კანონმდებელიც.

ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფო წესწყობილებაა დღეს შვეიცარიასა, ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში, სადაც დამკვიდრებულია ავტონომიურ-ფედერატიული მმართველობა. თუ აუცილებლად საჭიროა ავტონომებად დანაწილება ისეთ სახელმწიფოსი, რომელიც ერთის ერისაგან შესდგება, მით უმეტეს საჭიროა იგი სხვა-და-სხვა ერისაგან შემდგარ სახელმწიფოსათვის. ამას მოითხოვს „სხვა-და-სხვაობა ადგილობრივ ცხოვრების პირობათა და მცხოვრებთა ხასიათისა", სხვა-და-სხვაობა „ზნე-ჩვეულებათა და მთელის ცხოვრების წესწყობილებისა".

ამის უარყოფა შეუძლიათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს? იყო დრო, როდესაც ისინი არ უარყოფდნენ ამას. მაგრამ დღეს ან არ იძლევიან პირდაპირს პასუხს, აფუჩეჩებენ საგანს, ან ავრცელებენ ავტონომიის შესახებ ყოვლად შეუფერებელს ჭორებს და ცილისწამებას: ვითომც ავტონომია იყოს სრული განშორება*) და სეპარატიზმი (და არა საუკეთესო ფორმა ერთობისა და თვით-მმართველობისა), ვითომც ავტონომისტებს უნდოდეთ რაღაც საკუთარის „სამეფოს" დაწესება და ძველის ბატონყმობის აღდგენა. ასე არ იბრძვიან პატიოსანი მტრები!..

ჩვენს მოწინააღმდეგეებს ის აწუხებთ: რატომ ჩვენ არ მოვითხოვეთ პირველად ავტონომიაო! ყველაზე უფრო კი ის უკლავთ გულს, რომ თ.-აზნაურობამ ახსენა ავტონომია, თითქოს ამით რამე დაეკარგა ავტონომიას. განა თ.-აზნაურობამ არ მოითხოვა წმინდა დემოკრატიული ავტონომია, დაწესებული ხალხის მიერ „საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და დახურულის კენჭის ყრით? და თუ ასეთი ავტონომია კარგია თავის-თავად, კარგი არ იქნება იგი,

---

*) შეიძლება უვიცობითაც მოსდით ეს.

ვინც უნდა მოითხოვოს? მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს სხვანაირი ლოღიკა აქვთ და სხვანაირი, მეტად ახირებული, თავმოყვარეობაც, რომელსაც ძალიან ცდილობენ დაფარონ და ხალხს ამოაფარონ ზურგს უკან: ხალხს არ მოუთხოვნია ავტონომია და ამიტომ ჩვენც წინააღმდეგნი ვართ ავტონომიისაო!

მაგრამ მართლა არ მოითხოვა ხალხმა ავტონომია? რა განაცხადა ხალხმა? მართალია, პირდაპირ ავტონომია მხოლოდ რამდენსამე ალაგას იყო მოთხოვნილი; სხვაგან თუმცა ხალხს არ უხსენებია სიტყვა ავტონომია, ხოლო ის, რასაც ხალხი პრაქტიკულად თხოულობს, რისი განხორციელება სწადია მას, შეადგენს ავტონომიის შინაარსს, იმის შესრულება შეიძლება მარტო ავტონომიურ მმართველობის შემწეობით. ხალხს უნდა მის მიერ არჩეული მოხელეები და მოსამართლეები, ხალხს უნდა, რომ სამართალი წარმოებდეს მის დედა-ენაზე, სწავლება იყოს მის დედა-ენაზე, ყოველ დაწესებულებაში დამკვიდრებული იყოს მისი დედა-ენა, ხალხს უნდა, რომ ყოველისავე გადასახადის დამწესებელი და კანონის გამომცემელი იყოს თვითონ, თვითონ მოუაროს და უპატრონოს თავის თავს, ხალხს უნდა, ხალხური მთავრობა, და ნუ თუ ყველაფრის ამის განხორციელება უფრო შეუძლია ხალხს (თუ კი შეუძლია როგორმე) ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებით, სადაც მას ეყოლება 15-მდე წარმომადგენელი, თუ ადგილობრივ პარლამენტის შემწეობით, რომელიც მისთვის უფრო ახლოა, უფრო მისაწვდომი და სადაც მას უფრო სავსებით შეუძლია წარმოადგინოს თავისი ინტერესები?

ამ კითხვაზე ორნაირ პასუხის მოცემა შეუძლებელია. ჩვენ იმას-კი არ უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის მონაწილეობა გავაძნელოთ და შევამციროთ კანონმდებლობაში—და ეს ასე იქნება, თუ მთელ უზარმაზარ სახელმწიფოს ხალხს ერთს საკანონმდებლო დაწესებულებაში მოვამწყვდევთ,—არამედ უნდა გავაადვილოთ ხალხის პირდაპირი მმართველობა და მასთანავე გავაფართოვოთ, რაც შეიძლება, მხოლოდ ავტონომიების დაწესებით და ადგილობრივს პარლამენტების შემოღებით.

ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომ ხალხს არ უნდოდეს ავტონომია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რის განხორციელებაც სწადია ხალხს, რაც ზოგან კიდეც განახორციელა, მაშინ აშკარაა ჩვენთვის, რომ ხალხი სწორედ რომ ავტონომისტია.

გავჩერდებით ჯერ-ჯერობით ამაზე და მხოლოდ იმას განვიმეორებთ, რომ ავტონომია და ავტონომიათა ფედერაცია (კავშირი) საუკეთესო დემოკრატიული მმართველობაა. ყოველივე დემოკრატიზმი იმას თხოულობს, ეს სტიქიური მოვლენაა, და რაც უნდა ჭორები გაავრცელონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ჩვენი ხალხი მაინც ავტონომიას განახორციელებს ცხოვრებაში.

კალამი.

სოფლად

—

კახეთი. მოვიდნენ, მოვიდნენო, მოწყენით გადმომცა ერთმა ნაცნობმა. მართლაც ყაზახები ჩამოვიდნენ თელავში 10 აპრილს საღამოთი. ეს ამბავი მსწრაფლ მოედო კახეთს, ისე რომ 7 ვერსზე იმავე საღამოთი შევიტყე. ყაზახები ასე ასზე მეტი იქნება, ამას გარდა დრაგუნები ერთი ესკადრონი მოვიდა ამ რამდენიმე დღის წინად და ესენი უკვე ორ-სამ სოფელში დაბინავდნენ. თელავში რომ რამდენიმე ათი ყაზახი დასტოვონ, მეტს არ დასტოვებენ და დანარჩენს კი, ეჭვს გარეშეა, სოფლებში გაჰგზავნიან, მხოლოდ როგორ, რა პირობებით—არ ვიცით. რასაკვირველია, კახეთში ამათი მოსვლა გამოიწვია გლეხთა მოძრაობამ. უნდა აღვნიშნო, რომ გადაწვა და რაიმე ამგვარი კახელ გლეხ-კაცს ჭირივით ეჯავრება და არც ყოფილა მაგალითი, რომ რომელსამე სოფელში, იქაც კი, სადაც მემამულენი წინააღუდგნენ გლეხთ მოთხოვნილებას, რაიმე ვნება მიეყენებინოთ, იყო მხოლოდ ორიოდე შემთხვევა ფანჯრების ჩამტვრევისა. ყველგან მშვიდობიანად არიან, ისევ თავაზიანად ექცევიან თავად-აზნაურობას და პირადობას სრულებით არ ეხებიან. მაგრამ მაინც ადგილობრივ ადმინისტრაციის, მემამულეთა, თუ სხვა ვისიმე თხოვნით ზოიგიერთ სოფლებში პირველადვე თელავიდან ჯარი გაიგზავნა, მერე დრაგუნები და ეხლა კიდევ ყაზახები. კახეთს ბევრი გაჭირვება გამოუვლია, ბევრი შავი დღე უნახავს, მწუხარება დასდგომია, მაგრამ ყველას სულგრძელობით იტანდა და ეხლა-კი... ვინ იცის, იქმნება მის დაცემულ ოჯახს მიწასთან გასწორება მოელის, ერწოში უკვე დაინთხა გლეხთა უმანკო სისხლი, და ხომ შესაძლებელია კახეთშიაც ესევე განმეორდეს და გავარვარებულ ცეცხლზე ნავთი დაისხას...

—

სოფ. ოსიაური (ზემო ქართლი). აქაური გლეხობა მოძრაობის დაწყებიდანვე სულ იმას სცდილობს და ფრთხილობს, რომ ძალ-მომრეობა და გადაწვა არ მოხდეს და მერე ამათ არ დაბრალდეთ. ამ გვარად გაფრთხილებულმა გლეხებმა მიასწრეს ერთ თავადს, რომელსაც თავის საკუთარ სახლისათვის გაეჩინა ცეცხლი. როცა სოფელმა ეს დაინახა, საჩქაროდ ჩააქრო ცეცხლი. გამოკითხვის დროს ხსენებულმა თავადმა, როგორც ხალხთან, ისე ბოქაულთან განაცხადა: „ძალზე მთვრალი ვიყავ, თურმე ბუხარში ცეცხლის ანთება მნდომებია, შიგ ბევრი ნავთი შემისხამს და ამის გამო სახურავს მოსდებია ცეცხლიო“.

აქ მოვიდა ერთი სოტნა ყაზახ-რუსი. აქვე ადგილობრივმა ბოქაულმა სოფელს უბრძანა: „დაგვისახელეთ და მოგვეცით, თქვენში ვინცა გყავდეთ მავნე და არა საიმედო პირებიო“. სოფელმა განაცხადა: ჩვენ მავნე პირები არავინა გვყავს და რომ გვყოლოდა, აქამდე ჩვენ თვითონ არ დავაყენებდითო“. ბოქაულმა ამის შემდეგ დაიჭირა ექვსი კაცი. ამათს დაჭერაზე გლეხობა ძალზე აღელდა. თვით დაჭერილები-კი გულ-მაგრად იყვნენ; მეორე დღეს მთელი სოფლის გლეხობა ერთათ თავ-მოყრილი მივიდა ხაშურში და ბოქაულს მოსთხოვა: „ან ახლავე გაათავისუფლე ის ჩვენი ექვსი კაცი, ან ჩვენც იმათთან შეგვრეკეთ და დაგვატუსაღეთ; უამისოდ ჩვენ აქედან წამსვლელები არა ვართო“. ბოქაულმაც, ცოტა ყოყმანის შემდეგ, გაანთავისუფლა დაჭერილები, რის შემდეგაც ხალხი მშვიდობიანათ დაბრუნდა სოფელში.

ხეჩოს ბიჭი

—

სოფ. ახაშენი (სიღნაღის მაზრა). 3 აპრილს შუა სოფელში შეიკრიბა მთელი საზოგადოება. ბევრს ჯოხები და კეტებიც ეჭირა ხელში. უწესოება არა მომხდარა-რა. გამოიხმეს თავად-აზნაურობა და მღვდელი. მოიტანეს ორი დაწერილი ქაღალდი. სთხოვეს მღვდელს, რომ წაეკითხა ეს ქაღალდები სასმენელად ყოველთა. მღვდელმა წაიკითხა. პირველ ქაღალდში ეწერა, რომ ჩვენ, მთელმა საზოგადოებამ, გლეხებმა და თავად-აზნაურობამ ერთხმად დავადგინეთ: რაც რამ მამულები გვაქვს: ვენახები, მთა და ბარი, ტყე და მინდორი და სხვა დღეის შემდეგ უნდა გვეჭიროს ისე, როგორც გამიჯვნის წინად გვეჭიროთ. მეორეში ეწერა საეკკლესიო კრებულის შრომის ფასის ნიხრი (2 მან. ჯვარის საწერი, 1 მან. მიცვალებულის სამარხი და კომლზე თითო მანეთიც წელიწადში ნაცვლად „კოდის-პურისა“). წაკითხვის შემდეგ გლეხებმა მოითხოვეს ხელი მოაწერეთო. იქ დაესწრო სამი აზნაური, რომელთაგან ერთმა იქვე მოაწერა ხელი, მეორე თავის სახლში წავიდა და იქ მოაწერინეს ხელი, მესამემ უარი განაცხადა. ერთიც შემდეგ იპოვნეს გზაზე და იქ მოაწერინეს ხელი. მღვდელმაც მოაწერა ხელი.

აქაური.

—

სოფ. ტირძნისი (ქართლი). ამ სოფლის მამულები ეკუთვნის სულხანიშვილს, სატეხნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტს. გლეხები დროებით ვალდებულნი არიან, თითო ოროლას გარდა, ხსენებულ მემამულისა. მცხოვრებთა რიცხვი იქნება ასე 150 კომლამდე. ეხლანდელ გლეხთა მოძრაობის დროს, რასაკვირველია, ამათაც ისეთივე მოთხოვნილებანი წარმოადგინეს, როგორც სხვაგან. გლეხები სრულიად მშვიდობიანად იქცეოდნენ და იქცევიან. მაგრამ მაზრის უფროსს სთხოვეს, გაგზავნე ყაზახ-რუსები ვითომდა გლეხების დასაწყნარებლადო. მაზრის უფროსმა აასრულა თხოვნა და გაგზავნა ყაზახები, რომელნიც ეწვივნენ ტირძნელებს ზედ აღდგომა დღეს. ყაზახებს აქ გაუმასპინძლდნენ, ვისთვისაც ეს საჭირო იყო. შეზარხოშებული ყაზახები შვიდობიან გლეხებს დაერივნენ და დაუწყეს რბევა. გამოჰქონდათ ჭურჭლეული, სკივრები, თიხის ჭურჭელი და ცარიელებს რომ ხედავდნენ, ამტვრევდნენ. ერთ ალაგას 20 წლის ყმაწვილი გლეხი გაუმკლავდა და ჩაუდგა კარებში, რომ სახლი არ აეკლოთ. მაშინ კი იგრიალეს ყაზახების თოფებმა. ჭაბუკი იქვე მოჰკლეს. მას მიეშველა 16 წლის ძმა. ისიც წუთი-სოფელს გამოასალმეს. ამათ უბედურ მამას, რომელსაც ორი იმედი მოხუცებულობისა თვალ წინ დაუხოცეს, იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიაგდეს. მერე დაერივნენ სხვებს და 7 მოჰკლეს, 10 დასჭრეს. მაზრის ექიმმა მითხრა, რომ ორის დაჭრილის მორჩენის იმედი არა მაქვსო. როგორც შემდეგში გამოირკვა, ცხინვალის ნაწილის ბოქაულსაც მიუღია ამ საქმეში დიდი მონაწილეობა. ის თურმე რევოლვერით ხელში დაუძღვოდა ყაზახებს.

ორშაბათს მაზრის უფროსი და ექიმი წავიდნენ საქმის გამოსაძიებლად.

ნ. ქ—ლი

ახალი ამბავი

—

✦ განჯიდან დაწყებული სადგურ ძეგამამდის **ჯგუფ-ჯგუფად ლიანდაგზე ჯარი სდგას.** ეს ჯარი, როგორც ამბობენ, დარჩება ლიანდაგის დასაცველად 1 მაისამდის.

✦ დღეს, 21 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭო კერძო კრებაზე მოისმენს **პეტერბურგიდან დაბრუნებულ დეპუტაციის მოხსენებას.** ამავე კრებაზე საბჭო მოისმენს მოურავის მიერ შემუშავებულ მოხსენებას ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ. ეს მოხსენება წარედგინება კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოდის სად. ბარანოვიჩიდან **სარკინისგზო ბატალიონი,** რომელიც უკვე გამოვიდა 19 აპრილს. მთელ ბატალიონში 400 სამხედრო მემანქანე, თანაშემწე და ცხრა აფიცერია. როგორც გავიგეთ, ეს ბატალიონი დაბინავდება გუმბრში.

✦ 16 აპრილს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც რუსეთის გლეხთა საზოგადოებათ ეპატიათ ერთი ნაწილი საიმპერიო და საგუბერნიო საკვებ თანხიდან სესხად მიღებულ ფულისა. სხვათა შორის, **ბაქოსა და ტფილისის გუბერნიის გლეხთ** ეპატიათ ნახევარი იმ სესხისა, რომელიც საგუბერნიო საკვებ თანხებიდან მიუღიათ შიმშილობის დროს დასახმარებლად 1894 წლის 14 ნოემბრიდან მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე.

✦ ამ დღეებში ჩამოვიდნენ იმიერ-კასპიის ოლქიდან **სამხედრო მემანქანენი და მათი თანაშემწენი.** სულ ჩამოვიდა 40 მემანქანე და 60 თანაშემწე. ყველა ესენი რკინის გზის დეპოებში იქნებიან: ბათუმს—5 მემანქანე და 7 თანაშემწე, სამტრედიას 3—5, ხაშურს 3—5, განჯას 4—6, ბაქოს 7—10, გუმბრს 6—8, ტფილისს 13—18. ყველა ამათ მიეცემათ სახელმწიფო სახლები და ლოგინი. სახლები ამათთვის უნდა გაანთავისუფლონ რკინის გზის მოსამსახურეთ, რომელთაც მიეცემათ სახლის ქირა.

✦ რადგან ამ ბოლო დროს **ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე „უწესოებანი ხდება“,** გზათა სამინისტრო ჰგზავნის განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოიკვლიოს ამ მოვლენის მიზეზები, ე. ი. რამ გამოიწვია ხშირი გაფიცვა მოსამსახურეთა, მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტა და სხ. კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივ რკინის გზის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და მუშათა და მოსამსახურეთა მიერ არჩეული პირნი.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **დეპოებში მომუშავენი** დღემდის დღიურ მუშებად ითვლებოდნენ. ასეთ მუშას, ცოლშვილიანს, თუ ავად გახდებოდა, ეძლეოდა ნახევარი ჯამაგირისა, ხოლო უცოლშვილოს—მეოთხედი ჯამაგირისა; სხვა მხრითაც ასეთი მუშა ბევრ რასმე იყო მოკლებული. ეხლა ყველა ეს მუშები ეგრედ წოდებულ „შტატნებად“ ჩაირიცხნენ.

✦ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგება **ხელოსანთა კრება** თავიანთ საჭიროებებზე მოსალაპარაკებლად. 22 აპრილს იქნება კალატოზების კრება, 23—ხუროებისა და 25 მხატვრების.

✦ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ დააპატიმრეს ფოთში **გაფიცული ლიანდაგის მუშები.** კავკასიის ნამესტნიკის მოადგილის გენერალ მალამას განკარგულებით, აღდგომა დღეს ყველანი გაანთავისუფლეს.

✦ როგორც **ქუთაისიდან გვატყობინებენ,** გენერალ-გუბერნატორის ნებართვით 23 აპრილისთვის დანიშნულია ქუთაისში მთელის გუბერნიის სკოლების მასწავლებელთა კრება. სასურველია, რომ ამ კრებას არავინ დააკლდეს.

✦ ეს მე-8 დღეა **შეჩერებულია ტრამვაის მოძრაობა.** მოსამსახურეებმა სრულიად შესწყვიტეს დირექტორთან მოლაპარაკება და უცდიან ბრიუსელიდან განსაკუთრებით ამ საქმისთვის გამოგზავნილ წარმომადგენელს. იგი ბრიუსელიდან გამოსულა 13 აპრილს და ტფილისში დღე-დღეზე ელიან. საზოგადოებას დღეში 2000 მან. მეტი ზარალი აქვს. ამ 8 დღეს რომ ვიანგარიშოთ, საზოგადოებას სულ 18,000 მან. ზარალი ექნება.

✦ **ლაქიები** და **მზარეულები** რვა დღეა განაგრძობენ გაფიცვას.

✦ **მებუფეტეების გაფიცვის** გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ბუფეტებში თითქმის არსად არ მოიპოვება ცხელი საჭმელი. ზოგიერთი ბუფეტები სულ მიატოვეს მებუფეტეებმა და ამ ბუფეტებს ჯერ-ჯერობით ამიერ-კავკასიის რკინის გზის აგენტები აწარმოებენ. ბუფეტის მოიჯარადრენი სთხოვენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას, მოისპოს იჯარა ბუფეტებზეო.

✦ 18 აპრილიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **მატარებლების მიმოსვლა საზაფხულო წესზე შეიცვალა.**

✦ ხმა დადის, რომ **ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად არჩეულს** ბ-ნ ვოლსკის ამტკიცებენ ამ თანამდებობაზეო.

✦ მაისში სპარსეთიდან მომავალი აღსტაფაზე გზად გაივლის **სპარსეთის შაჰი.**

✦ მივიღეთ **საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“** მე-II ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ამას წინად უკვალოდ დაიკარგა ავადმყოფი კოლია ბებურიშვილი. ნაცნობები სთხოვენ იმათ, რომელთაც იციან სად იმყოფება იგი, აცნობონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ცნობა“.

✦ კვირას, 24 აპრილს, ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ტფილისის ქალაქის მიწების მოიჯარადრეთა. როგორც გვქონდა აღნიშნული, მოიჯარადრენი ითხოვენ ნება მიეცეთ მათ საიჯაროდ აღებულ მიწების შესყიდვისა.

ფელეტონი

—

კახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი

V.

უსამართლო მართვა-გამგეობით, სიმშილ-შიმშილით და ეგზეკუციით გაბედნიერებულ საქართველოს ახალი უბედურება დაატყდა თავსა. მთელი ექვსი წელიწადი, დაწყებული 1809 წლიდან 1816 წლამდე საშინლად მძვინვარებდა საქართველოს ტერრიტორიაზე ჟამი და ჰმუსრავდა უპატრონო და მშიერ-მწყურვალ ქვეყანასა. შეშინებული მკვიდრი ცხვრის ფარასავით დაფთხა და მთასა და ტყეს მოედო თავის საშველად. თვით დედა-ქალაქი ტფილისი დაცარიელდა, რადგან მოქალაქენი გაიხიზნენ და იმალებოდნენ ზოგი ორთაჭალის ბაღებში და ზოგი კიდევ, ვინ იცის სად. ულმობელი სენი განსაკუთრებულის ძლიერებით აოხრებდა იმერეთს, მაგრამ ხეირი არც ქართლ-კახეთისათვის დაუყრია. თავი იჩინა ჭირმა აგრეთვე დარუბანდს, ჩრდილოეთ კავკასიაში და ახალციხის საფაშოში.

მაშინდელი მთავრობა ხერხსა და ღონეს არ იშურებდა, რომ მხედრობა მაინც გადაერჩინა სენის ბრჭყალებისაგან, მაგრამ ვერას ხდებოდა ჯარის-კაციც ბლომად დაიღუპა, განსაკუთრებით ყაზახობა. საკარანტინო ინსპექტორის თანაშემწე თ. თუმანიშვილი და გენერალი სიმონოვიჩი გვიამბობენ: ანანურში ჟამი მოვსპეთ, მაგრამ ხელმეორედ დონის ყაზახებმა შემოიტანესო.—არაგვის პირზე ცხენები გაერეკათ საბალახოდ; ყაზახების ბინის ახლო მგზავრ ქართველებს ღამე გაეთიათ. მძინარე მგზავრებისთვის ყაზახებს მოეპარათ ქება და უბრალო ხალიჩა და ჩამოეტანათ ყაზახთა პოსტზე. ქურდებს ქება შუაზე გაეჭრათ და მიეყიდნათ ისევე ყაზახისთვის, რომელიც ავად გამხდარიყო ჭირით და გარდაცვლილიყო. ჭირის მოსასპობად გორიდან გაუგზავნიათ ს. ჩარტალში სამხედრო ექიმი კორაძლი, მხლებლად თანა ჰყოლია ექიმს ანანურელი ყაზახი, რომელსაც სოფელში ორი ტყაპუჭი მოეპარა. მეორე დღესვე ქურდი ყაზახი გარდაიცვალა, თან გადაჰყვა აფიცერი და სხვა ყაზახები. ერთ ყაზახს კიდევ გაეთხარა დამწვარი, ჭირნადგომი ნასახლარი და ორი ცელი ეშოვნა. დავლა ბინაზე მოეტანა და მოხზობილი სენი ხელახლა გააჩაღა. სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ცელის მომტანი ყაზახი, სწერს გენერალი სიმონოვიჩი მთავარმართებელს, რომ სხვა ყაზახებმა აღარ გაბედონ ჭირიან ადგილებიდან ნივთების აღება, თორემ სენს ბოლო არ მოეღება. 41).

ტყუილად ჰქონდა იმედი გენერალ სიმონოვიჩს, რომ სასტიკი სასჯელი, ან სასტიკივე ბრძანება მოაშლევინებდა მაშინდელს ყაზახს ქურდ-ბაცაცობას. ქურდობდა და მტაცებლობდა ყაზახი განა მარტო ჩვენში, იქ, სამშობლოშიც მოტრფიალე თვალით უცქეროდა მეზობლის დოვლათ-ზინათსა და თუ კი დროს იხელთებდა, უსათუოდ ასწაპნიდა რაც-კი მოხვდებოდა ხელში. აბა რა მოსაპარია მგზავრ კაცის ქება, ან ჩარტალელი გლეხის წუწიანი ტყაპუჭი (დედანში: ОВЧИНА)! ვინ ოხერი გასთხრის ღამე, მალულად, ჭირიან ნასახლარს, (დედანში: САКЛЯ) რომ ორიოდე ყანგიანი ცელი მოიპაროს! გლეხ-კაცის გადამწვარ ქოხში განა რა ოქროს ზოდები იქნებოდა ჩაფლული! ხასიათი, ბუნებაა, თორემ რა ურია ან ქება-ტყაპუჭშია, ან ცელებში.

1815 წ. გენერალი დელპოცო სამწუხარო ამბავს ატყობინებს გეორგიევსკიდან მთავარ-მართებელ რტიშჩევს, დონელ ყაზახთა ბინაზე, მიხეილის პოსტზე, მცირე აბაზიის პირდაპირ, ჟამი გაჩნდა; ერთი კვიროს განმავლობაში გარდაიცვალა 2 ურიადნიკი და 14 ყაზახი; ერთი ურიადნიკი, 5 ყაზახი და 1 დედაკაცი ავად არიანო. საიდან შემოიტანეს სენი მიხეილის პოსტზე, დანამდვილებით ვერ შევიტყე, რადგან პოსტის უფროსი ასისთავი ლიახოვი და ჯოგის ყარაული ყაზახი, რომლებზედაც ეჭვი მქონდა, თუ შემოიტანდნენ, სწორედ ესენიო, ჟამისაგან დაიხოცნენო.—გენერალი დელპოცო ასე ახასიათებს ლიახოვს და საზოგადოდ დონის ყაზახობას: მე მგონია, მოახსენებს დელპოცო რტიშჩევს, რომ ამ უბედურების თავი და თავი მიზეზი ყაზახობაა. ვის არ მოეხსენება, რანაირად ეტანება ყაზახი დავლას. ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ტაცაობის სენი. ცხადია, რომ ასის თავი ლიახოვი და ყაზახთა ჯოგის ყარაული ხელთ იგდებდნენ საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ აზიის საქონელს, მიარიგ-მოარიგებდნენ და ამგვარად სიხარბით დაბრმავებულებმა თავიანთი თავიც დაღუპეს და სხვანიც თან ჩაიყოლიეს. დამნაშავის აღმოჩენა შეუძლებელია, რადგან ყველანი წუთი-სოფელს გამოესალმნენ. ჟამის შემოტანის მიზეზი ეგები ისაა, რომ ყაზახი, ვითარცა გაუთლელისა და ველურის კაცის წესი და ადათია, სულ უბრალოდ თავს წაიხდენს, ოღონდ რამე იშოვნოს. საშოვარის მოტრფიალე აღარ დაგიდევს, რა ზარალი მოჰყვება მის საქციელს. ღვთის წინაშე, ისიც უნდა სთქვას კაცმა, რომ დონის ყაზახი იძულებულია ისაძაგლოს და იქურდოს. აგერ მეორე წელიწადია და ჯერ ცხენების საკვები არ მიუღიათ. წელიწადში სულ 12 მანეთი ჯამაგირი აქვთ და როგორ დაირჩინოს თავი, ან ცხენი როგორ გამოკვებოს თორმეტი მანეთით? ბევრს ცხენი მოუკვდა და ღონე არა აქვს მეორე იყიდოს. ბევრი გაკეთებული ოჯახი დაიღუპა, რადგან ოჯახის მომვლელად მარტო მოხუცებულები და ბავშვები რჩებიან შინ. ზნე მაღალი ადამიანი ქურდობას არ იკადრებს, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს კარსა. მტკიცე ხასიათი დროზე შეაჩერებს, შეიკავებს და საძაგლობაზე ხელს აიღებინებს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ყაზახს ზნე-ხასიათი ძალიან სუსტად აქვს განვითარებული. 42).

ფრიად საყურადღებო ამბავს გვატყობინებს გენერალი დელპოცო. სწორედ რომ დაუჯერებელი ამბავია და გონებას ვერ გაუთვალისწინებია, როგორ უნდა ირჩინოს თავი ცხენიანმა კაცმა წელიწადში თორმეტ მანეთად? ეს ხომ იმასა ჰგავს, დედინაცვალმა მწყემსი-ობოლი რომ სამწყსოდ გაგზავნა, ერთი პური გაატანა და ასე დააბარა: შენც სჭამე, გამძღელ-გამომძღელდაც და შინაც მთელი მოიტანეო.—დონის ყაზახს, ბრძანებს დელპოცო, ზნეობა ნაკლებად აქვს განვითარებული. ანგელოზიც რომ იყოს ადამიანი, თავს ვერ დაირჩენს და ცხენს ვერ გამოჰკვებავს წელიწადში 12 მანეთად. მაშინდელი მანეთი დღევანდელ სამსაც რომ უდრიდეს, მაინც შეუძლებელია 36 მანეთად თავის გატანა და ცხენის შენახვა. ძალა-უნებურად თვალი აქეთ-იქით უნდა აცეცო და საზრდო მოიპოვო კანონის მიერ აღკრძალული გზით. დელპოცოს მოწმობა საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მაშინდელი დროის ყაზახთა რაზმები რეგულიარ ჯარად არ ითვლებოდა. რაკი ასეა, დისციპლინაც სუსტი უნდა ჰქონოდათ და მთავრობა, ალბად იძულებული იყო თვალი დაეხუჭა და ყური მოეყრუა, როცა შეაწუხებდნენ,—ყაზახებმა სოფელი აიკლეს, ესა და ესა გაძარცვეს, ეს და ეს დაარბიესო. 43).

ბატონიშვილ დავითმა გენერალ ტორმასოვს დააბრალა, ახალციხიდან მაგან ჩამოიტანა ჟამი ქართლ-კახეთშიო. მართლაც პირველად რუსის მხედრობაში ახალციხესთან იჩინა სენმა თავი. ტორმასოვმა 1810 წ. შემოდგომაზე ალყა შემოარტყა ახალციხეს და ნოემბრის მიწურულებში იმედიც ჰქონდა, რომ ბოლოს მოუღებდა შარიფ-ფაშას და თვით ახალციხეს. მაღალი კლდე ყაია-ბაში, რომელიც თავს დაჰყურებდა ციხეს, რუსებმა ხელთ იგდეს და სეტყვასავით აყრიდნენ აქედგან შუაგულ ციხეს ტყვიასა და ყუმბარას. 19 ნოემბერს ტორმასოვმა ბატარეია მოაწყო კოკოლა-საყდრის მაღლობზე, ზედ აიტანა ორი მძიმე თორმეტ გირვანქიან ყუმბარიან ზარბაზანი და ორი ფილთა (მორტირა) 44.) 22 ნოემბრიდან დაწყებული ოთხის დღის განმავლობაში თითქმის სამტუტა ტორმასოვმა ახალციხის ციხე, თუმცა აღებით მაინც ვერ აიღო. ხის შენობანი მთლად დაიწვა, ქვისა ნახევრად დაინგრა. შარიფას პალატებს ცეცხლი გაუჩნდა, მეციხოვნენი დაწიოკდნენ, მაგრამ ტორმასოვმა მაინც იერიში არ მიიტანა და შარიფ-ფაშას შეუთვალა, ციხე დამანებეო. ვერ მოგართვიო, შემოუთვალა შარიფმა. 45) მაშ დატოვილი იმერეთის მეფე სოლომონ მეორე მაინც მომეცი და ციხიდან განდევნე ლეკებიო.—ლეკები დიდი ხანია გაიქცნენ, მეფე სოლომონი-კი ერევანს წავიდაო, შემოუთვალა შარიფმა.—ამ პასუხის შემდეგ ტორმასოვი აიყარა და ტფილისს წავიდა აწყურის გზით.

მიზეზი ასე უსახელოდ დაბრუნებისა ახალციხიდან სულ უბრალო იყო. ტორმასოვის ლაშქარში ჟამი გაჩნდა და პირველად ექვსი ქართველი მილიციონერი იმსხვერპლა. ტორმასოვის მხედრობას შეუერთდა იმერეთიდან მოსული ზეკარის უღელტეხილით სიმონოვიჩის ჯარი და, ალბად, ამ ჯარმა თუ გადმოიტანა შმუსრავი სენი. ტორმასოვს შეეშინდა ჭირისა, საჩქაროდ წამოვიდა და ფიცხელი ბრძანება გაუგზავნა საქართველოს გამგე გენერალ-მაიორ ახვერდოვს და პოლკოვნიკ სტალს—საქართველოს ყველა შესავალ გზებზე კარანტინები დააწესეთო. 46).

საიდან შემოვიდა საქართველოში ჭირი, დარწმუნებით ვერ ვიტყვით. თვით ტორმასოვმა ვერ გამოარკვია, საიდან შემოეპარა ტფილისს სენი. „ღმერთმა უწყის, რა გზით შემოვიდა ქალაქში სენიო“. კაპიტანი ანოსოვი ჰფიქრობს, რომ ჟამი საქართველოში 1811 წ. გაჩნდა დარუბანდიდან, უფრო კი იმერეთიდანაო. 47).

ჩვენთვის სულ ერთია, საიდან გვესტუმრა ჟამი, იმერეთიდან, ახალციხიდან, თუ დარუბანდიდან. საყურადღებო ისაა, რომ ისედაც შეწუხებულს ქართლ-კახეთს ცალკე შიმშილით და ცალკე უხეირო მართვა-გამგეობით და საეგზეკუციო კომანდებით ახალი უბედურობა დაატყდა თავსა. მარტო 1811 წ. ჟამმა იმსხვერპლა 2042 მამა-კაცი, 1646 დედა-კაცი, 567 ბავშვი; მორჩენილა 514 მამა-კაცი, 531 დედა-კაცი და 155 ბავშვი. კარანტინებში ჰყოლიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ 15 აპრილს ოქრომჭედელს ზისკოვიჩს მოუვიდა მუქარის წერილი, თუ ამა და ამ დროს მუზეის ქუჩის მოსახვევში, ბოჭკასთან, 75 მან. არ დადევით, მოვალთ და ცოცხალს არ გადაგარჩენთო. ბოქაულის რჩევით ზისკოვიჩს აღნიშნულ ადგილზე მართლაც დაუდვია პაკეტი ფულით. აღნიშნულ ადგილს საყარაულოდ უბნის ზედამხედველებს ალიმოვს, მურადოვს, გურაკოვსკის და უფროს პოლიციელს ვადაჩაუცვამთ უბრალო ტანისამოსი. საღამოს 7½ საათზე მოსულა ორი უცნობი, რომელნიც დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე რაზიკაშვილი და ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ივანე მდივანი. დაპატიმრებულთ განაცხადეს, რომ ჩვენ ამ საქმეში ხელმძღვანელობა გაგვიწია მკერვალ ფლისთან მსახურმა სახელად იოსებმა, რომლის გვარი არ ვიცითო.

✦ დიდი-ჯიხაიშის გამგე ბ-ნი ლეჟავა გვთხოვს დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და დიდი-ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემწეობა აღმოუჩინეს ფულად 33 მ. 85 კ. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე ალექსი ხაცავას, სარდიონ მანჯგალაძეს, მელიტონ გახოკიძეს და იასონ დევიძეს, რომელთაც ზემოხსენებული ფული შეჰკრიბეს“.

✦ 17 აპრილს ნამესტნიკის საბჭოს შვეიცარი სათადარიგო ჯარის უნტერ-აფიცერი მეთოდე დიმიტრენკო ამაღლების მოედანზე რაღაცაზედაც წასჩხუბებია ვიღაც უცნობ პირთ, რომელთაც იმდენი უცემიათ დიმიტრენკოსათვის, რომ იგი მეორე დღესვე მოკვდა. მკვდრის გვამი მიხეილის სამკურნალოს სანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ 15 აპრილს, პოლიციის მე-6 ნაწილში, სურფ-კარაპეტის აღმართზე ტფილისის მცხოვრები ტიგრან ვართანოვი შესულა არტიმან მჭედლიშვილის დუქანში და დაუწყია მედუქნის ლანძღვა. მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც მჭედლიშვილს ვართანოვი დაუჭრია დანით.

✦ ერევნის მოედანზე ტფილისის მეორე გილდიის ვაჭრის ტერ-ოსიპიანცის მაღაზია გაუტეხიათ 15 აპრილს. მაღაზიაში გაუტეხიათ რკინის საფულე შკაფი და ამოუღიათ 800 მან. ფულად და ორი თამასუქი, თითო 100 მანეთისა, აგრეთვე სხვა საქონელიც მოუხვეტიათ და წასულან. ვინაობა ქურდების ვერ შეიტყეს.

✦ 17 აპრილს პოლიციის, მე-7 ნაწილში, საღამოს 9 საათზე, გეურქ ავაქოვი წაეჩხუბა გორის მაზრის მცხოვრებს ბაღდან მერაბოვს. მერაბოვს ჩხუბის დროს ხანჯალი ჩაუკრავს ზურგში ავაქოვისათვის და დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ სად. ფოთი. 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე, მე-38 ვერსის მუშების საცხოვრებელ კაზარმაში მივიდა ხუთი შეიარაღებული კაცი და წაართვა უფროს მუშას 40 მანეთი. იქიდან წავიდნენ მე-39 ვერსზე და ლიანდაგის დარაჯი გაძარცვეს. იქივე 19 აპრილს ღამის 10 საათზე ნახეს ხანჯლით დაჭრილი პეტრე გლაზკოვი.

✦ მე-15 ვერსზე ყარსის ლიანდაგზე ვიღაც შეიარაღებული კაცი დაეცა რკინის გზის დარაჯს ალექსი მამუკაშვილს და წაართვა 22 მან. 11 აპრილს მე-294 ვერსზე ნახეს ლიანდაგთან მოკლული კაცის გვამი.

✦ სად. კასპი. 15 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, კონდუქტორი ვასილ ზაბოლოტინი უნდა ასულიყო მიმავალ მატარებელზე, ფეხი აუცდა და ვაგონებს ქვეშ მოჰყვა.

გურიის სამღვდელოების კრება.

„დრონი მეფობენ და არა მეფენი“-ო, ნათქვამია. ოღონდაც რომ ასეა. დრო და ჟამი, ცხოვრების ჩარხის კანუწყვეტელი ტრიალი, ყველაფერს თავის გემოზე, დროს შესაფერად სცვლის და ამოქმედებს. აბა რას მივაწეროთ დღევანდელი ზოგიერთების ამოძრავება და ახმაურება, რამ შეაცვლევინათ მარშრუტი იმათ, რომელნიც გუშინ სულ სხვა გზით ეწეოდნენ ცხოვრების უღელს, სხვა ჭანგზე გალობდნენ. ხომ მოგეხსენებათ, „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“. ესეც ვიცი, რომ ბუნების სტიქიონმა, მძლავრმა გრიგალმა, გურიის სამღვდელოებასაც მძლავრად დაჰბერა, მოულოდნელად აახმაურა და აალაპარაკა სულიერი მამანი. ისინიც მიხვდნენ, ისინიც დარწმუნდნენ, რომ დღევანდელ პირობებში აღარ შეიძლება ცხოვრება, მოუხერხებელია; საჭიროა, უთუოდ საჭიროა არსებულ წესწყობილების შეცვლა-განახლებაო, გადასწყვიტეს მათ. ამიტომაც იყო, რომ ხუთ აპრილს გურიის სამღვდელოების სამოცამდე წარმომადგენელი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შეიკრიბა და მთელი სამი დღე განუწყვეტლივ მსჯელობდა თავის მომავალ ბედ-იღბლის გაუმჯობესება-გადაწყვეტაზე.

ბევრი აწონ-დაწონის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა.

ქართველი ერი რომ ზნეობრივ სარწმუნოებრივ ამაღლდეს, ამისათვის ჩვენ, გურიის სამღვდელოებამ, საჭიროდ დავინახეთ მოვითხოვოთ შემდეგი:

ხალხისაგან ამორჩევა სასულიერო პირებისა და სრული დამოუკიდებლობა ეკკლესიისა—კათალიკოსის მეთაურობით; ძირითადი რეფორმა სკოლებისა: დაარსებულ იქნას დაბალი და საშუალო სკოლები, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეს წოდებრივი ხასიათი, სამღვდელო პირთათვის სპეციალური ორ წლიანი კურსები; მაღალი სასწავლებელი სღვთისმეტყველო ფაკულტეტით; თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და კრებისა როგორც სხვების, ისე სამღვდელოების; მიეცეთ მღვდლებს სრული მოქალაქობრივი უფლებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მწყემსობრივ იდეას და მასთან ერთად შეიცვალოს კანონი, რომელიც უკრძალავს მღვდელს თავის ნებით სამსახურის მიტოვებას. ჩამოშორებულ და განთავისუფლებულ იქნას ეკკლესია სახელმწიფოსაგან, ე. ი. მღვდელს არაფერი საქმე არ ჰქონდეს პოლიციასთან. ამასთანავე ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლით გულ-წრფელად აღვიაროთ, ჩვენი მოთხოვნილებანი რომ ადვილად იქნას განხორციელებული, საჭიროა არსებულ წეს-წყობილების ძირითადი რეფორმები; აუცილებელია მოწვევა დამფუძნებელ კრებისა, რომლის მოთხოვნითაც ჩვენ ვუერთდებით ხალხის მოთხოვნილებას. **სილია.**

რუსეთის ქრონიკა

საპასპორტო სისტემის რეფორმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუდგენია პროექტი საპასპორტო სისტემის რეფორმისა. პროექტით, სრულიად უნდა მოისპოს პასპორტები, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია. მხოლოდ პეტერბურგისა და ებრაელებისათვის დარჩება პასპორტებიო. (რ. ს.)

ლ. ნ. ტოლსტოი და ეხლანდელი მოძრაობა. როგორც ვიცით, რუსეთის შესანიშნავი მწერალი ლევ. ტოლსტოი არ თანაუგრძნობს დღევანდელ პოლიტიკურ ბრძოლას არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, რაც საჯაროთ გამოსთქვა ამას წინად. ეხლა „ბირჟ. ვედ.“ ბეჭდავს რამდენიმე გლეხის მიერ ხელმოწერილ წერილს. „სირცხვილია, გრაფო, თქვენთვის, რომ არ გესმისთ დღევანდელი მოძრაობა. თქვენ, განგებისაგან იშვიათის ნიჭით მოსილი, კანონის გარეშე ხართ: თქვენ ვერავინ ვერაფერს გიზამთ, რაც არ უნდა ჩაიდინოთ ან დასწეროთ; თქვენ კანონზე მაღლა დგახართ. მაგრამ გაიხსენეთ უმცროსი ძმებიც, ამათაც ხომ სურთ ადამიანის უფლებანი, და ელოდნენ, რომ თქვენ მხარს მისცემდით, როგორც მოსალოდნელი იყო თქვენის თხზულებების ავტორისაგან. ჩვენ ვიცით სამღვთო წერილი და ვსწავლობთ მას; ადამიანის სული თავისუფალია, მაგრამ ადამიანის ბედნიერებისა და ღვთის სამეფოს დამყარებისათვის ამ ქვეყნად, აუცილებელია, რომ პიროვნებაც თავისუფალი იყოს, რომ ძალას არ ხმარობდნენ სინიდისსა, სარწმუნოებასა, აზრსა და სიტყვაზე. გვრცხვენია, რომ ასეთ წერილს გწერთ, გრაფო“.

რევოლიუციონერების დაპატიმრება. „სლოვო“ იტყობინება სარწმუნო წყაროებიდან, რომ პეტერბურგში კიდევ დააპატიმრეს სამი მეთაური სარევოლიუციო პარტიისა.

ეპისკოპოსი დიმიტრი და დეკანოზი ვასტორგოვი

ნ. დურნოვო სახუმრო მოწინააღმდეგე არ ყოფილა და ეპისკოპოსს დიმიტრის ადვილი საქმე არ უკისრია, როცა მას კამათი დაუწყო. „რასვეტ“-ის 42 ნომერში მოთავსებულია ნ. დურნოვოს პასუხი ეპ. დიმიტრის წინანდელ წერილზე. პასუხი, როგორც მოსალოდნელი იყო, საბუთიანია, ისე საბუთიანი, რომ მისი დარღვევა, ვგონებთ, დეკ. ვასტორგოვმაც შესძლოს, არა თუ ეპ. დიმიტრიმ. აქ მხოლოდ ერთ ადგილს მოვიყვანთ. ეპისკოპოსი დიმიტრი ამტკიცებს, რომ გარუსების პოლიტიკა აზრადაც არ მქონიაო. მაგრამ „ჩვენ კარგად გვესმის, რომ, თუ თქვენ, ყოვლად სამღვდელოვ, არ მოღვაწეობდით თქვენდამი რწმუნებულ ძველ ეპარქიების გასარუსებლად, იგივე ბედი გეწვეოდათ, რაც თქვენ წინამოადგილეთ—გრიგორის და ალექსანდრეს, რომელნიც დაითხოვეს სამსახურიდან, თუმცა კიდევ შეეძლოთ ემსახურნათ წამწყსოსათვის, ტირილით გამოესალმნენ, თქვენ კი, ყოვლად-სამღვდელოვ, პეტერბურგს მიჰმართეთ თავის შესაფარად“.

თავშესაფარად მიუმართავს პეტერბურგისათვის დეკანოზ ვოსტორგოვსაც. „რასვეტ“-ის იმავ ნომერში დრევლიანინი, სხვათა შორის, სწერს თავის „ღია წერილში“:

„შევიტყე, რომ პეტერბურგში დეპეშა მოგიწერიათ—ჩემ სიცოცხლეს განსაცდელი მოელის და ამიტომ გტოვებ საქართველოს საზღვრებსო; ისიც შევიტყე, რომ უკვე პეტერბურგში ხართ და მთის ბილიკებზე-კი აღარ დადიხართ, არამედ თქვენთვის საჭირო სახლების კიბეებზე... პეტერბურგი თქვენ მიგიღებთ და... თქვენთვის საგანგებოდ აარსებს ახალ თანამდებობას საგანგებო მონდობილებათა მოხელისას სამრევლო საეკლესიო ნაწილში“.

გაუგონია და შეუტყვია ეს ბატონ დრევლიანინს და ქართველებთან ერთად თავისუფლად ამოუსუნთქავს. მაგრამ მაინც ვერ მოუთმენია, რომ ერთი-ორი მწარე შენიშვნით არ გაეთავებია თავისი წერილი.

„ან კეთილი მწყემსი ხართ ან დაქირავებული კაცი. თუ თქვენის კეთილ მწყემსობის დამტკიცებას სცდით, ვგონებ, საბუთები გეყოთ. თუ მეორეზე თანახმა ხართ, თქვენს პიროვნებასა და მოღვაწეობას ლოგიკა, თანდათანობა ექნება, რადგან მხოლოდ ქირის გულისთვის მომქმედი კაცი მწყემსი არ არის“. დეკანოზ ვასტორგოვის პასუხი საინტერესო უნდა იქნეს. კითხვა პირდაპირ არის დაყენებული.

პატარა ფელეტონი

შეჩვენებულნი

— მოვედით ყველანი, მოინანიეთ ცოდვანი, რამე თუ რანი ხართ? ვინიდან რა ჩაგიდენიათ?

— სულიერო მამაო, ძლიერი ვარ მე... უზრუნველად ვატარებ სიცოცხლეს რაც მემკვიდრეობით მომიდის, მაგრამ ჩავჭედილვარ. არავის დავუნებებ... კიდეც ზედ ვუმატებ... სხვისი ჭირი ჩემთვის ლხინის... აქ წავართმევ, იქ წავგლეჯ... ყველას ავატირებ, ყველას ავაწიოკებ!

ფეხზე მკიდია ხალხი, თავისუფლება, ერთობა!

თვალი მე რად დავვარო, როდესაც სხვებს თვალში ვსწყურავ?

როგორ არ ვიცინო, რომ სხვების კვნესა და გმინვა მესმის?

რატომ არ გავიხარო, ოდესაც სხვანი სისხლს ღვრიან?

მე არც ვმუშაობ, არც წელში ვიხრები!

ძლიერი ვარ მე, ძლიერთა შთამომავალი, ათას წლობით ეგრე ვიქცევით და მოსანანებელიც არა გვაქვს-რა.

— მაშ ამიერიდან შეჩვენებულ იყავ!!

* * *

— მამაო კეთილო, ჩამბარდა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე...

მივაფურთხე და ჩემსას შევუდექ! ქვეყანა ფეხებზე მეკიდოს, თუ მე არ ვიქნები!

დიდი მადის პატრონი გახლავარ და სხვებზე ზრუნვა ხელს არ მაძლევს... ჩემთვის უნდა ვიზრუნო...

აქამდის ყველას ვატყუებდი: ყველა ფიქრობდა ეს ჩვენია, ჩვენთვის იბრძვის, ჩვენ გვშველის, ჩვენ გვიხსნისო..

სულელები! ლამაზ სიტყვების რახა-რუხში ცრუ ჭანგი ვერ შემამჩნიეს...

ლამაზი სიტყვები ხეპრეთ და უვიცთ მივაყარე, მე-კი გამოვძღერი, გავძღერი, შევძღერი!

და დაგანახვებთ ახლა ვინცა ვარ.

კაცი არ მომიკლავს, არ გამიძარცვავს, მაშ რა მაქვს მოსანანებელი?!

— ეგრე გგონია? იყავ შენც შეჩვენებული!!

* * *

— წმიდა მამაო, თავისუფლების ქვეყანაში, პარიზში ვსწავლობდი, „მარსელიეზა“ ზეპირად ვიცი და სულ ვმღერი, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, მემკვიდრეობით მათრახი და „ნაგაიკა“ შემესისხლხორცა!

გულზე ვსკდებოდი, იქ რომ თავისუფალ ხალხს ვხედავდი, უცენზურო გაზეთს ვკითხულობდი, თავაზიან პოლიციელს შევხვდებოდი და „ძვორნიკების“ ჭაჭანებაც-კი არსად იყო!!

და ახლა აქაც მომინდომეს ამისთანები? როგორ გავაბედვინებ! კრინტს არ ამოვადებინებ! მათრახი მაგათ!

გშიანთ? თოფი მაგათ!

გწყურიანთ? ზარბაზანი მაგათ!

— შეგაჩვენოს!!!

* * *

— წმიდა მოძღვარო, თვალ-ჭყაპში, ყინვებით ხელ-ფეხ დაძრული, პაპანაქება სიცხეში, მშიერის კუჭით ვმუშაობთ—მაინც გვშიან!

და როდესაც სულთ-მობრძავებმა [illegible] წამოვიძახეთ:

პური!! პური!!

ზარბაზანი მაგათო! ეს სამართალია?

რადგან ეგრე—კი არ ვიგნავლებთ, ვიგრიალებთ!

— გზა დამილოცნია, შვილნო ჩემნო!

* * *

— მამაო ჩემო, რჯული, ხატი, ჯვარი ყველანი ძალიან მიყვარხართ...

ზოგიერთები მდევნიდნენ, თორემ ხალხსაც ძალიან ვუყვარდი და ახლაც თქვენს შორის ვიქნებოდი... რომ... რომ...

ტყუილი მომიგონეს, ვითომ გავიპარე, გავიქეცი, მოვქუსლე!

სულაც არა, ჩემის ნებით წავედი. სანამ თქვენში ვიყავი, ვცდილობდი თქვენს გადასხვაფერებას, რაც დედა-მშობლიური გქონდათ ფეხით ვთელავდი... თქვენი არც ეკკლესია მრწამდა, არც მღვდელი, არც ბერი და ერი!

მაგრამ მაინც მიყვარხართ და თქვენც გიყვარვართ...

— წყევლით და კრულვით მოვიხსენიებთ მაგვგვარ სიყვარულს!!

* * *

— მზარეულ-ლაქიები ვართ, მამაო ჩვენო, „ვბუნტობთ“!!!

ბატონობას ყველამ თავი დაანებოს! რა დროს ბატონობაა?

„თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო“!

წავიდეს ახლა და ბატონმა კვერცხი, ხორცი ზიდოს, „მადამმა“ „კასნიკები“ თავის ფუნთრუშა ხელებით ხეხოს!

თუ არა და სუფთა ლოგინი, კარგი საჭმელი, მეტი ჯამაგირი, ადამიანობა და ჩვენც მოვბრუნდებით.

არა და ახლა მაინც ყველა „ბუნტოვჩიკობს“ და ჩვენც ქე...

— რასაც დასთესთ, იმას მოიმკით, შვილნო ჩემნო!

* * *

— მამაო, კვიმატი გახლავარ!

— რაო?

— კვიმატი! მიყვარს ვუკვიმატო დიდსაც, პატარასაც, თუ სიყალბე შევამჩნიე... სხვებრ, ღმერთმანი, კარგი ბიჭი ვარ!

— იყავ კურთხეულ!

კვიმატი.

წერილები

ბათუმი. ბათუმის ცხოვრება დღითი დღე სამძიმო და აუტანელი ხდება. ჩვენი კოხტა, ლამაზი, ცოცხალი ბათუმი, რომელიც ხსნა იყო მთელ ქუთაისის გუბერნიისათვის, რადგან აქა შოულობდა ლუკმა პურს და აქ ერგეოდა ახალ ცხოვრებას ჩვენებურ სოფელში მოწყვეტილი ნაწილი,—ცოცხალი ბათუმი დღეს ვაებითა და სიმწარითაა სავსე. ადამიანთა კვლა, ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. დღე არ გაივლის ისე, რომ ამგვარი რამ არ მოხდეს ქალაქში და ისე ხშირად, რომ მცხოვრებს აკვირვებს, როცა უშემთხვევოდ დღე გაივლის.

ქალაქის საავადმყოფო, როგორც მოგეხსენებათ, სამჯერ გაძარცვეს. ორჯელ შიგ მიუხტნენ საავადმყოფოს ზედამხედველს, მესამედ კი გზაში დაეცნენ შუადღისას. საავადმყოფოს ზედამხედველმა ამ უკანასკნელად ათას სამასი მანეთი მიიღო და წავიდა საავადმყოფოში უყარაულოდ იმ აზრით, რომ არავის შევამჩნევინებ, თუ ფული მიმაქვსო, მაგრამ ერთ წამში გაიგეს, რომ ამ კაცს ჯიბეში ფული ჰქონდა, ეძგერნენ და ამოაცალეს ას ათი თუმანი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, პასუხის მგებლად საავად-

---

გაჩერებული როგორც საეჭვონი ავადმყოფნი: 268 მამა-კაცი, 276 დედა-კაცი და 89 ბავშვი. იმავე კარანტინებში გაუჩერებიათ ჯან-საღნი: 393 მამა-კაცი, 410 დედა-კაცი და 31 ბავშვი. [48]

კარანტინები იყო დაწესებული ს. ჭალას, მცხეთას, ღმანისს და ტფილისში სამი: აბანოებთან, ავლაბარში და წავკისის გზაზე. სხვა გზით ხალხს არ უშვებდნენ ქალაქში. თითო კარანტინში უსათუოდ იყო ერთი კომისარი, ერთი ექიმი და თარჯიმანი, რომელსაც, თუ რუსულად ვერ მოახერხებდა გამვლელ-გამომვლელის სახელისა და გვარის დაწერას, შეეძლო ქართულად შედგენა სია. კარანტინებში ხმარობდნენ ხალხისა და ნივთების საპკურებლად დოქტორ გიტონ-დე-მორვოს რაღაც გაზს. წესი და რიგი ამ გაზის ხმარებისა შეემუშავებინა სამხედრო ექიმს, მედიცინის დოქტორს კრეიტონს. მარკიზი პაულუჩჩი დიდად აფასებდა დე-მორვოს გაზსა და კრეიტონის წამლობას, სასწაულსავით მოქმედებსო, მაგრამ ქართველობას არა სწამდა არც მორვოს გაზი და არც კრეიტონის ჯანჯაზობა. ტყესა და მთას უფრო ენდობოდა და ქუდ მოგლეჯილი გარბოდა ჭირიან ქალაქიდან ორთაჭალის, ფარსიჯანის ბაღებში და უფრო შორს, სადაც, მისის ფიქრით, ჭირი ვერ უწევდა. ლტოლვილთა რიცხვი 1811 წლის შემოდგომაზე 10,000 სული იყო, სიცივით კანკალებდა, ბავშვობა ულიტებოდა, მაგრამ ნებით არა ბრუნდებოდა ქალაქში, ვიდრე მარკიზმა ძალად არ შემორეკა.

მაშინდელი ბრძოლა ჟამთან იგივე იარაღის [illegible] იყო, სხვა არაფერი. კავკასიის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი ბრისკორნი ასე გვისურათებს ბრძოლას. გაჩნდა თუ არა ს. ობილნოში ჟამი, სამხედრო ყარაული შემოარტყე, არც არავინ შეუშვა შიგა და არც არავინ გამოიშვიაო. თვით სოფელში მოუსპე მისვლა-მოსვლა ერთის ოჯახისა მეორესთან. იმ სახლს, სადაც ჟამია, ყარაული შემოარტყით; ნივთები და ავეჯი ცალკე შენობაში დაგვალაგებინე. ვისაც სოფლიდან გასვლა ესაჭიროება, სასტიკ კარანტინში უნდა დარჩეს რამდენიმე დღე, ნივთებსა და ტანისამოსს აპკურებენ და მხოლოდ მერმე გაუშვებენ სხვაგან წასასვლელად.—თუ საყარაულოდ გუბერნატორმა ბრისკორნმა ღონის მშიერი ყაზახები მიუჩინა ობილნოელებს, კაი ხეირსაც დააყრიდნენ „ცალკე შენობაში“ დალაგებულს ნივთსა და ავეჯსა.—[49].)

ტფილისში ჟამის მოსასპობად მარკიზ პაულუჩჩიმ განსაკუთრებული კომიტეტი დააწესა, სახელად „მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე მზრუნავი კომიტეტი“. თავმჯდომარედ გაუჩინა კომიტეტს თ. დარჩია ბებუთაშვილი. წევრებად დაინიშნენ: ტფილისის კომენდანტი პოდპოლკოვნიკი დევენცოვი, საექიმო გამგეობის ინსპექტორი ექიმი რიზენკო, სამხედრო დოქტორი პრიბილი, დახელოვნებული გადამდებ სენთან ბრძოლაში, ტფილისის ნაცვალი, ანუ პოლიცმეისტერი და ერთიც საპატიო მოქალაქე.—კომიტეტის დაარსების ამბავს მოახსენებს მარკიზი პოლიციის მინისტრს ბალაშოვს და ამ გვარ ატესტაციას უკეთებს დარჩია ბებუთაშვილს: ტფილისის მკვიდრთა შორის ყველაზე საპატიო კაცი დარჩია ბებუთაშვილია, ზედ მიწევნით იცნობს დიდსა და პატარას, ყველასაგან პატივცემულია და დიდი გავლენა აქვს ქალაქელებზედ. მეფობის დროს ქალაქის საქმეებს დარჩია განაგებდა, რუსის მთავრობის ერთგულია, რაიცა არა ერთგზობით დაუმტკიცებიაო. [50].

კომიტეტის თავმჯდომარე ჩვენი კაცია და, როგორცა სჩანს საბუთებიდან, დარჩია ბებუთაშვილს ქართული, შინაური წამლობა უფრო სწამდა, ვიდრე ექიმ-დემორვოს გაზი და დოქტორ კრეიტონის დარიგებანი. კარანტინებში დარჩიამ უპირატესობა ძმარსა და მარილ წყალს დაუთმო. ქალაქში შემოსასვლელ კარებებთან გამართულ კარანტინებში ბებუთაშვილმა დაადგმევინა ხარიხები. საჭმელ-სასმლის მომტანი სოფლელობა ხარიხებს იქით იდგა, აქედან კიდევ მოქალაქენი. აღკრძალული ჰქონდათ ერთმანეთის მიკარება და შეხება. საქონლის ფასში რომ შერიგდებოდნენ მსყიდველ-გამსყიდველი, ნავაჭრ საქონელს ხარიხების ქვეშ გამოახოხებდნენ და მსყიდველები ჩაიბარებდნენ. მერმე ფულებს თეფშებზე დაალაგებდნენ, ამოავლებდნენ ძმარში და მხოლოდ ამის შემდეგ ხარიხას ქვეშ გაახოხებდნენ. ჩაიბრიდა გამყიდველი გარეცხილ ფულს და შინ მიდიოდა. სჯეროდა სოფლელს უებრობა ამ წამლისა, თუ არა, ღმერთმა უწყის, ან რა თვალით უყურებდნენ კარანტინის ექიმები დარჩიას ოსტატობას, საბუთებიდან არა სჩანს.

ასე იკვებებოდა ტფილისი 1811 წელსა და 1812 წ. გაზაფხულზე. ხუთ აპრილს 1812 წ. მარკიზმა სიხარულით აუწყა ბალაშოვს, ჟამი სრულიად მოისპო, მიში აღარაფრისაა, ფულიც აგრე რიგად ბევრი არა დახარჯულა რა, სულ რაღაც 3000 მ. თეთრი, ლტოლვილი ქალაქელობაც ბაღებიდან ოჯახებში დაბრუნდაო. [51]

ტყუილად დაიტრაბახა მარკიზმა, სენი მოისპოო. ჟამი იფეთქებდა ხოლმე საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილს თითქმის 1816 წლამდე. მაგალითად, ქართლში 1815 წ. აქ სადა და სადა ყოფილა ჭირიანობა: გერიანში მომკვდარა ერთი დედაკაცი და 10 სული საეჭვო ავადმყოფობით გამხდარა ავად. ქვემო-ნიქოზში ხუთი მომკვდარა და 17 სული საეჭვო აღმოჩენილა, ს. ერედვში ჭირი აუტანია ქვემო-ნიქოზიდან თავის დედა-კაცს, სულ რაღაც ორიოდე საათი გაჩერებულა ერთ ნაცნობ ოჯახში, მეორეში ღამე გაუთევია და მერმე ოსეთში წასულა. მოსდებია ამ ოჯახებს ჟამი და მუსრი გაუვლია, გაწყვეტილა 12 სული. საექიმოდ დივიზიის დოქტორი მინერვინი რომ მისულა, კიდევ ყოფილა ამ ორ ოჯახში ორი დედა-კაცი ავადმყოფი და 5 საეჭვო. მინერვინს ერთ ქოხმახში სამი ჭირიანი მიცვალებული უნახავს. რადგან ერედვლები დამფრთხალან და ზედ არავინ ეკარებოდა, მინერვინს ცეცხლი მოუკიდებია სახლისთვის და მკვდრებთან ერთად დაუწვავს; ს. ზერთში 10 გარდაცვლილა, და ავადმყოფი უნახავს მინერვინს 28 საეჭვო. ჟამს უჩენია თავი აგრეთვე კირბალში, გორში, სასირეთში, ქვემო-ხანდაკში, სადაც შემოუტანიათ სენი მათხოვარა ჯავახებს, ლოესში, ქვარიღში, წილკანში და მჭადის-ჯვარში. [52]

დაწვრილებით ჟამის ამბავი განძრახ მოვიხსენიეთ. მრავლად დამართულმა კარანტინებმა თითქმის შესწყვიტეს მისვლა-მოსვლა ტფილისსა და სოფლებთა შორის, სადაც სანაქებოდ პარპაშობდა საეგზეკუციო კომანდები. აღელვება რომ ჩააქრო კახეთში მარკიზმა, ხალხსა და თავად-აზნაურობას უსაყვედურა, რატომ დროზე არ მატყობინებდით მოხელეთა საძაგლობასა, რატომ საჩივარი არ შემოგქონდათ ჩემთან, ხომ კარგად იცოდით, რომ ჩემი კარი ღიაა მთხოვნელ-მომჩივარისთვისაო.—სიტყვით ადვილი სათქმელია, კარი ღია მაქვს, თამამად შეგიძლიანთ საჩივარი მომართვათო, მაგრამ საქმით სულ სხვა იყო. ჯერ ერთი ადგილობრივი მოხელენი საჩივარსა ჰმალავდნენ და ქალაქში არა ჰგზავნიდნენ. მეორე კიდევ ისაა, რომ ვსთქვათ გამწარებულმა კაცმა განიძრახა პირდაპირ მთავარმართებლის ნახვა, აიბარგა და დაიძრა ტფილისკენ. ადგილობრივი მოხელენი ხშირად ბილეთს არ აძლევდნენ ტფილისში თავისუფლად შესვლისას, ან დიდის ხნით აჩერებდნენ მცხეთის კარანტინში. ცხადია, ასეთივე დაბრკოლება იქნებოდა გამეფებული დანარჩენ კარანტინებშიაც. შინიდან წამოღებული საგზალ-ნუგზალი შემოეხარჯებოდა კარანატინში მომჩივარს და ხელ-ცარიელი იქიდან უკანვე ბრუნდებოდა, რადგან ტფილისში შესვლას ვეღარც-კი ჰბედავდა, ვაი თუ ქალაქში მშიერ-მწყურვალი გადავიძრო, ან სიცივისაგან გავიფიჩხოვო. ამ მიზეზს ასახელებს გამომძიებელი კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რატომ არ ჩამოდიოდნენ საჩივლელად მოხელეთაგან ტანჯულ-წამებულნი. [53].

შეუძლებელია მარკიზს არა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა ობობას ქსელად გადაქცეულ კარანტინებში, მაგრამ მაინც პაულუჩჩი თავმომწონეთ ატყობინებს პოლიციის მინისტრ ბალაშოვს 1811 წ. 12 ნოემბრის თარიღით: ყოველ დღე მოველი, რომ ჟამი მეც შემხვდება, რადგან ჭირიანი ადგილებიდან აუარებელი ქაღალდი მომდის. მცხოვრებლებიც განუწყვეტლივ შემოდიან ჩემთან საჩივრებით და ხომ მოგეხსენებათ, რა მოუთმენლები არიან აზიელები. მეორე დღესვე თუ პასუხი არ მიეცი საჩივარზე, თავს იკლავენ და წუწუნებენ—სამართალს ვერ ვეღირსეთო. დიდათა ვფრთხილობ, მაგრამ რას იზამ, ჭირს სად გაექცევი. თვით კანცელარიაში შემომეპარა სენი და ხაზინადარი ხორუნჟი ბატალშჩიკოვი მომიკლაო. [54].)

ასე იცოდნენ თავის მართლება განა მარტო მარკიზმა, სხვებმაც. ორი ათასის ვერსის სიშორეზე მყოფი პოლიციის მინისტრი ბალაშოვი განა კი დაფიქრდებოდა, ეგები სიტყვა სხვაა და შეიძლება საქმე სხვა იყოსო. ქაღალდზე ხომ კოხტად იყო გამოყვანილი, საქართველო ბედნიერია მხნე მთავარ-მმართველის ხელშიო და სხვისა რიდასი დარდი ექმნებოდა.

ა. ფრონელი.

წინა წერილში შეცდომაა. სწერია—კოვალენსკიმ გაიამხანაგა თ. ბეგთაბეგიშვილი ხალხის გასაყლეტად. უნდა იყვეს—დასარბევად.

---

[41] Акты, т. v, გვ. 349, 350, 351.

[42] ibid, т. V, გვ. 351—352.

[43] აი თვით დელპოცოს სიტყვები: „Всѣ казачьи войска другой годъ не получаютъ фуража; казаки должны содержать и себя и лошадей своихъ изъ одного жалованья, состоящаго изъ 12 р. въ годъ“.

[44] უგემურად იციან ხოლმე დამახინჯება ჩვენებურის სიტყვა-სახელისა. სუფთა ქართული „კოკოლას საყდარი“ ასეა დოკუმენტებში მონათლული: კოკილა სერდარისად ყიზილბაშური სერდარი, ანუ სარდალი და საყდარი ეკკლესია. ოსმალურთან მწყრალად გახლავართ, მაგრამ რამდენადაც გვესმის „Кая-паша“ კი არა ჰქვიან კლდეს, არამედ Кая-баши, ბაში თავია.

[45] დანამდვილებით არ ვიცით-რა გვარისაა შარიფი. ბატონიშვილი დავით ათომაგის გვარისად სთვლის, ხელიმს-კი ხიმშიაშვილად. იხ. მასალები... გვ. 64, 69. ბროსსეც გადაწყვეტილს არას ამბობს, „ძნელია იმის გამორკვევა, ვისიც შთამომავალნი არიან საათაბაგოს უკანასკნელნი მართველნიო“. იხ. მარი ბროსსეს საქართველოს ისტორია, ნაწილი II, გვ. 154.

[46] გენერალი ახვერდოვი, გვარით პაპულაშვილი, ქრცხინვალელი მოსახლე სომეხია. მასალები... გვ. 106.

[47] утв. ტ. II, გვ. 268.

[48] Акты, т. V, გვ. 36.

[49] ibid. გვ. 347.

[50] ibid. გვ. 31.

[51] ibid. გვ. 32.

[52] ibid. გვ. 350—351.

[53] утв.. ტ. II, გვ. 341—342.

[54] Акты, т. V, გვ. 33.

მყოფოს ზედამხედველი ეცნო და მიუსაჯა წართმეულ ფულის შევსება ჯამაგირისაგან გამოიცხვით. ასეც მოხდებოდა, რომ საბჭოში ხმოსან ხუდადოვს არ დაერღვია გამგეობის ასეთი გადაწყვეტილება. ხმოსანმა სთქვა, „ნუ თუ ზედამხედველი უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმისთვის, რომ მან ყარაულები არ შემოიხვია გარს და ისე არ წაიღო ფული, როცა ჩვენ ვიცით, რომ ყარაულებიც ვერას შველიან და მხოლოდ სისხლი იღვრება ტყვილაუბრალოდ. კაცს ეგონა, ჩუმად გაატარებდა ქუჩაში 1300 მანეთს მაგრამ არ მოუხერხდა,—წაართვეს; ყარაული რომ ხლებოდა, ეგებ მოეკლათ კიდეცაო.“

აპრილის 11-ს, საღამოს ექვს საათზედ, ქალაქის კასის გაძარცვა განეზრახა და ამისთვის კიდევაც რამდენიმე კაცი შევარდა ქალაქის სახლში, მაგრამ ვერა წაიღო რა. როცა 11 აპრილს საბჭოს კრებამ ამ საგანზე მოილაპარაკა, ხმ. ქუთათელაძემ განაცხადა, რაკი ადმინისტრაციას ღონე აღარ შესწევს, ძალა არა აქვს დაგვიფაროს ძარცვა-გლეჯისაგან, ვითხოვოთ ნება მიეცეს ქალაქს ამისათვის თავისი მილიცია შეადგინოსო.

მაგრამ ამაზედ უფრო გამწარება ბათუმს სხვა მხრითაც ადგია დღეს. დიდი მნიშვნელობა ბათუმისა ხომ იმაზედ იყო დამყარებული, რომ აქ დიდძალი მუშა ხალხი საქმეს შოულობდა. წარმოიდგინეთ ახლანდელი მდგომარეობა: როტშილდის ქარხანა დაკეტილია, სიდირიდისმაც დაკეტა თავისი ქარხანა, ხაჩატურიანმაც, ინჟენერი პასეკი ჰკეტავს თავის სამექანიკო ქარხანას; მუშაობს ერთად-ერთი ქარხანა მანთაშევისა. უმეტეს ნაწილად მიზეზი ის არის, რომ ვაჭრობამ იკლო, საზღვარ-გარეთიდან გემები ძნელათ ეკარებიან ბათუმს საქონლის (ნავთის) წასაღებად; ზარალია საქმის გაგრძელებაო. რამდენიმე ათასი კაცი რჩება ულუკმაპუროდ და რა უნდა ეშველოთ, ღმერთმა უწყის; მდგომარეობა საოცარია და დღითი-დღე აუტანელი. ზოგიერთი მუშები სოფლებისკენ გაემართნენ, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილი; უმეტესობა სრულიად მოწყვეტილია სოფელს და წასასვლელი ადგილი არსადა აქვს.

ქალაქის პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლებმა განცხადება შეიტანეს გამგეობაში, რომ იძულებულნი ვართ სწავლა შევწყვიტოთ, სანამ რუსეთში არ დამყარდება კანონიერობა და უფლებრივი თანასწორობა, რადგან იმ აუტანელ პირობებს რომელშიაც ხალხი დღეს სცხოვრობს, ჩვენ, ხალხთან ახლოს მდგომნი, უფრო ვგრძნობთ და მის თანამგრძნობი ვართ. რეზოლიუცია გამგეობას არ მიუღია საბჭოსთვის წარსადგენად, მხოლოდ სახალხო სკოლების დირექტორს შეჰკითხებია, შეიძლება სწავლის შეწყვეტა თუ არაო. დირექტორს უპასუხნია, ქალაქია სკოლების პატრონი, როგორც სურს, ისე შეუძლიან მოიქცესო. მე მხოლოდ, როგორც ხნიერი პედაგოგი, ვიტყვი, რომ ეგ ცუდად იმოქმედებს მოსწავლეებზეო და ამას იან რაღა ბათუმში უნდა შესწყდეს სწავლაო. ამასთან ის რჩევა მიუცია, რომ ქალაქმა დაითხოვოს მასწავლებლები და ახლები მიიწვიოს. ერთი მასწავლებელი (ე. შარაშიძე) რაღაც გაუგებრობით პირდაპირ გამოურიცხავს სამსახურიდან, თუმცა იგი ქალაქის მიერ არის მიწვეული და ქალაქი აძლევს ჯამაგირს. საბჭოს მოხსენდა ეს საქმე, თუმცა არა მკაფიოდ. საბჭომ მოინდომა თავდაპირველად მიემართნა მასწავლებლებისათვის ნაალდგომევს ცოტა ხნით მაინც განეგრძოთ სწავლა, მაგრამ შემდეგ გადასწყვიტა, რომ ქალაქის სკოლებში სწავლა შეწყვეტილ იქმნას სექტემბრის პირველამდის.

რაჭა. ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ დღიურს ვარამზე: იმ ქარიშხალმა და ღელვამ, რომელიც ამ ჟამად მოედო თითქმის მთელს რუსეთს, თავისი მძლავრი ხელი მოაწვდინა ყოვლად მიყრუებულს რაჭის კუთხესაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის შეწუხებანი და უსამართლობანი, რომელიც სჭირს მთელს რუსეთს და ავსებულია ცოდვით ეს ქვეყანა,—არა ნაკლებად სხვებზე სულს უხუთავდა და უხუთავს დღესაც გაჭირვებულს და დაჩაგრულს ჩვენებურს დაბალ წოდებას—გლეხობას. მაგრამ იგი ყოველივე ამ გასაჭირს იტანს. რაჭველ გლეხს, მაგალითად, სწამდა, სახარების სიტყვა ოდესმე გამართლდებოდა და დადგებოდა ის დრო, როდესაც წინანი უკან და უკანანი წინ იქნებოდნენ. მაშ, ვისურვოთ წრფელის გულით და სიტყვით, რომ ერთობა და თანასწორობა იყოს მოკლე ხანში. თუმცა უნდა მოგახსენოთ სიმართლე, რომ ამ „ერთობის“ უბრალო თქმამაც ბევრს თავზარი დასცა. ასე ჰგონიათ, თუ ეს არის დაილუპა ქვეყანაო. ჩვენ ბევრს ვიცნობთ აქაურს და ნამეტურ ლეჩხუმელ თავად-აზნაურთ, რომელთაც თითქმის გაზეპირებული აქვთ დიდებულ შოთას „ვეფხის ტყაოსანი“ და წამდაუწუმ გაიძახოდნენ: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ ან არა და „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, მაგრამ, ვაი ამ დღეს, თურმე ტყუილად იმეორებდნენ ამ სათაყვანო ლექსს, თურმე ჩირქსა სცხებდა ამათი ბაგენი ამ დიდებულს და ყოვლად პატიოსან სიტყვებს. ან-კი რა უნდა მოვსთხოვოთ ეხლანდელს ჩვენებურს თავად-აზნაურობას, ყოვლად დაწვრილმანებულს და გულითა და სულით გალატაკებულს! დიდათ სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის ისტორიული ფაქტი, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურობაში მეტად ჰქონდა გამჯდარი ფესვი ცბიერობას, მლიქვნელობას და ლალაქს, მაგრამ წინად ღალატობდნენ დიდებულნი თავიანთ მეფეებს,—ეხლა კი ისე გატიალდა საქმე, რომ შვილი ოდესმე დიდებულ ოჯახისა თავის მამაზე ჯაშუშობს არყის გამოხდის თაობაზე. ასეთი ამბავი მოხდა ერთ რაჭველ თავადის ოჯახში. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ არც სენაკელი ალშიბაია და აფაქიძე ყოფილან ამ ჩვენებურ თავადიშვილზე მაღლა მდგომნი თავის რაინდობით.

ჩულიანი რაჭველი

ლეჩხუმი. ეს არის მივიღეთ სვანეთიდან შემდეგი ამბავი: 5 აპრილს სვანეთში მიმავალს შამშე ი. გელოვანს და ერთ მის თანამგზავრს ამხანაგს დახვედრიან ბოროტი ადამიანები ს. ჩოლურს თავ. მელიტონ გარდაფხაძის სახლთან და დაუშენიათ სეტყვასავით ტყვიები. შამშე გელოვანს ეზოში მიუშურებია იმ მოსაზრებით, რომ ჩემი ნათესავები არ გამიმეტებენო, მაგრამ ამ დროს გავარდნილა თოფი და მოხვედრია ორი ტყვია; გელოვანს იქვე სული დაულევია. მის ამხანაგს თავი დაუღწევია. მოკლულია თურმე ერთი მგზავრი და ერთიც ამათი მხლე სვანი და დაჭრილი კი მეტია. მიცვალებული მელიტონ გარდაფხაძის სახლში უსვენიათ გლეხებს და თავს ადგიან. თვით გარდაფხაძე გადახიზნულა.

ლაჯანელი ბანოვანი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, სადგურ ველახის მცხოვრები ქართველები გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ვასილ ნესტორის ძე ალშიბაიას, მუშნი კოწიას ძე დადიანს და იონა მეუნარგიას, ზუგდიდში, თავად-აზნაურთა კრებაზე ჭეშმარიტ სიტყვების წარმოთქმისათვის. ვუსურვებთ ენერგიას, მხნეობასა და კეთილ აზრების განხორციელებას. ამასთან ვუცხადებთ უკმაყოფილებას ვლადიმერ კოსტას ძე ალშიბაიას და თავ. ვარადებულ აფაქიძეს მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვების გამო.

ბესარიონ ბახვას ძე ლაკია; ლუკა სპირდონის ძე ბარკალაია; ანდრია თევდორეს ძე ნოდია; კოლია ივანეს ძე გოგბერაშვილი; ანდრია ქუჩუს ძე ნოდია; ვასილ იოსეს ძე კილტივია; ალექსანდრე ქანდარია; ხოსიმე გუდუსის ძე კალანდია; ისიდორე ანტონის ძე აბულაძე; იოსებ თედორეს ძე სხირტლაძე; პარმენ იოსების ძე ტურძილაძე; ვანო ალექსის ძე მარგიშვილი; იაგორა ზაქარიას ძე კობერიძე; ლავრენტი პავლეს ძეს შენგელია; მარკოზ ნიკოს ძე კორზაძე; მელქო ასლანის ძე ალავიძე; ვანო თეოდორეს ძე კვირიკაშვილი; დავით პეტრეს ძე მერკვილაძე; ვასილ ნ. გოგიავა; ერმილე მდინარაძე; ავქსენტი ვატას ძე ჩოჩიავა; გრიგოლ ტარიელის ძე უგოტაძე; ნესტორ თადევოზის ძე ნიკურაძე; მელიტონ დარისპ. წერეთელი; გენგაური; მოსე იესეს ძე ხიტირია; იოსებ ივანეს ძე დგებუაძე; პლატონ ალექსის ძე ცერცვაძე; კონსტანტინე ლუკას ძე ცერცვაძე; აბგარ მიკირტიჩ არუტინოვი; ნესტორ გრიგორის ძე ესებუა; ლისმა ალხაზაშვილი; კალისტრატე ბათუს ძე ქანდარია; ბარალო ტაგუს ძე ბოგუჩავა; ალექსი სპირდონის ძე ნემსაძე; გიორგი სპირდონის ძენემსაძე; გიორგი მაქაროვი, თხელიძე; იოსებ ბოლოხაძე, ბ. გაბრიელიძე; დავით გიგაური; თეოფილე ანდრიას ძე ნოდია; ჩხიკვაძე თემურაზის ძე ლუკა. *)

---

*) სულ 42 კაცია.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

20 აპრილი.

პეტერბურგი. 19 აპრილს ოფიციალური ცნობები არ მოსულა შორეულ აღმოსავლეთიდან.

ლონდონი. ამას წინად რუსეთის მთავრობა შეეკითხა ინგლისს იმის შესახებ, თუ რამდენ ხანში შეუძლიან მას ასი ათასი ტონა ნახშირი მიზიდოს ვლადივოსტოკში; ეს, ალბათ, ბალტიის ესკადრისთვის იქნება საჭირო, როცა იგი იქ მიაღწევს. ინგლისმა ვერ მოახერხა ნახშირის გადატანა დანიშნულ ადგილას, ვინაიდან საზღვაო დაზღვევა 70%-ით ჯდება. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება ასრულებულ იქნას, თუ რუსეთი უზრუნველ ჰყოფს გემების პატრონებს, იმ შემთხვევაში თუ იაპონელებმა ხელთ იგდეს გზაში რომელიმე გემი.

ტოკიო. ჰფიქრობენ, რუსებს შემდეგი მიზანი აქვთ: მიაღწიონ ვლადივოსტოკს, გაიტყუონ იაპონიის ფლოტი მის ბაზიდან ანა და მოელოდონ ზავის შესახებ მოლაპარაკებას, რომელიც, როგორც იმედი აქვთ, გამოწვეულ იქნება ფლოტისაგან გამართულ დემონსტრაციით.

ჩერნიგოვი, 19 აპრილი. საღამოს ათი საათი იქმნებოდა, რომ ჩერნიგოვის პოლიცმეისტერ გირშფელდს სამჯერ ესროლეს რევოლვერი, ორმა ტყვიამ ქუდის კოფო გახვრიტა, ერთმა ახლოს გაუარა; დამნაშავე დაატუსაღეს, მაგრამ ის უარზეა, არ მისვრია მეო.

კანეა, 20 აპრილი. პრინცმა გიორგიმ აუწყა კრიტოსელებს, რომ, რადგანაც შეუძლებელია კუნძულის საბერძნეთთან შეერთება, ამიტომ ეს საქმე არ განხორციელდებაო. მან თვითონ დაიკისრა პასუხის გება კუნძულზე მშვიდობიანობის დაცვის შესახებ. საბერძნეთის ბაირაღი ჩამოხსნეს.

ლონდონი. პარლამენტში მეორეჯერ წაიკითხეს ბილლი ინგლისიდან არა სასურველ უცხოელთ გაგზავნის შესახებ. ბალფური წინააღმდეგი იყო ბილლის მიღებისა. ბოლოს ბილლი მიღებულ იქნა მთავრობის უმეტეს ნაწილისაგან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
20 აპრილი.

საიგონი, 19 აპრილი. („რეიტ.“) „დეილი-მეილი“-ს კორესპონდენტმა მიმართა ინდოეთ-ჩინეთის გენ.-გუბერნატორს პროტესტით, ცენზურა რათ უყავით იმ დეპეშებს, რომელნიც რუსის ესკადრის კამრანში დგომას შეეხებოდნენო. იუწყებიან, რუსის ესკადრა კამრანის ჩრდილოეთითაა, 60 მილის მანძილზეო.

ტოკიო, 19 აპრილი („ტაიმსი“.) იმ ხმების შეეხებიან, შესახებ, რომელნიც ზავზე მოლაპარაკებას გაზეთები იმ აზრის არიან, ძნელად შეიძლება შეთანხმება მოხდეს, თუ რუსეთი პირდაპირ არ მიმართავს იაპონიასაო. იაპონიას ის ღა დარჩენია, რომ კვლავაც ისე იბრძოლოს, როგორც წინადო.

ლონდონი. „მორნინგ-პოსტი“ იუწყება ვაშინგტონიდან, ხმებია, ინგლისმა ჩინეთს ისეთივე ნოტა გაუგზავნა, როგორიც ამერიკამაო; ეს ნოტები ჩინეთისაგან ნეიტრალიტეტის დაცვას შეეხებიან და აგრეთვე აფრთხილებენ ჩინელებს, არ გაუშვან რუსის ესკადრა შანხაიდან და არ მისცენ რუსებს ნება ისარგებლონ ჩინეთის ტერიტორიით.—„ტაიმს“-ი ხმებს ავრცელებს, ჩინეთის ვაშინგტონელმა ელჩმა სახელმწიფო დეპარტამენტს დეპეშა გადასცა, რომელშიაც ირწმუნებიან, ვითომც ჩინეთი ყოველს ღონისძიებას ხმარობდეს, დაუშალოს რუსის ესკადრას შანხაიდან გასვლა.

ჩანჩავაძი, 14 აპრილი. დილით 60-მდე იაპონელი და 20 ხუნხუზი დაეცნენ ხიდს მულჩისთან, დუნლიაოხეს მარცხენი ნაპირზე და უნდოდათ ხიდის დანგრევა. ორი საათის სროლის შემდეგ, იგინი მოგერიებულ იქმნენ.

კალიში, 19 აპრილი. ქალაქში გუბერნატორმა შემდეგი განცხადება გააკვრევინა: „რადგანაც ძლიერ გაზვიადებული ხმებია პირველ მაისს მომხდარ ამბების შესახებ, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს წინასწარ ვაუწყო საზოგადოებას, რომ ხმები ტყუილია და განზრახ ურიან მათ ბოროტ-გამზრახველნი, რომელთაც მიზნად აქვთ არეულობა მოახდინონ. ვინაიდგან სასურველია თავიდან ავიცილოთ ახალი მსხვერპლნი, ვიწვევ, არ დაუჯეროთ ხმებს, რომელნიც დემონსტრანტების გასამართლებლად და პოლიციის გასამტყუნებლად არიან დაყრილნი. ვიწვევ მცხოვრებთ დამშვიდნენ, გონივრულად პატიოსნად და უანგაროდ მოეპყრან ფაქტებს და მოვაგონებ, რომ დაშავდნენ, შეიძლება, არა მარტო მშვიდობიანი მკვიდრნი ხულიგანთა ძალ-მომრეობის კამო, არამედ უდანაშაულო პოლიციელნიც და სალდათები, რომელნიც არეულობის ჩასაქრობად იყვნენ გამოწვეული“.

კიევი, 19 აპრილი. დღესასწაულებმა მშვიდობიანად ჩაიარეს.

ვარშავა, 19 აპრილი. მიუხედავად იმ შეწუხებულ მდგომარეობისა, რომელშიაც ჩავარდნენ მცხოვრებლება აგიტატორთა და რევოლიუციონერთა პროკლამაციების წყალობით, პირველმა მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა ვარშავის გუბერნიაში. გაფიცვამ ერთი დღე გასტანა.

პეტერბურგის ბირჟა 19 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,35
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	94,95
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,75
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83¾
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაკანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	381
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	294
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ახალი წიგნები:

1) **ბრძოლა** ჩვენს პრესსასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებებთან, 160 გვ. 35 კაპ.
2) **წერილი სოფლელ მუშას**, თხზ. ტ. ართმელაძისა 10 კაპ.
3) **საქართველოს სრული გეოგრაფია**, ვახუშტისა, 2 მან.
4) **საოჯახო, სამეურნეო და სამკურნალო ნარკვევი**, რამდენიმე ათასი უსაჭიროესი გამოსადეგი ცნობებით, 1 მან.
5) **ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში**, 5 კაპ.
6) **სოკრატი და მისი ფილოსოფია ცხოვრებაზე** (მდაბიურად) 5 კაპ.
7) **ჩვენი მწერლობა და მწერლები**, დიზრაელისა, 5 კაპ.

წიგნაძსი (კატალოგი) ყველა წიგნებისა მსურველს გაეგზავნება მუქთად. ვინც ქალაქ გარედან გაიწერს წიგნებს, გასაგზავნ ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა 40%.

ადრესი: Тифлисъ, Тумановскій переулокъ, 38, Ивану Павловичу Ростомашвили. (4—181—2)

საუკეთესო
ყვავილის
ო-დე-კოლონი
№ 4711
რეინის თაიგულები
მშვენიერი და იაფი სასხურებელი ხელსახოცებისათვის.
უეჭველად ყვავილისა და მოდის სურნელობისა
(6—?ც.—5)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები
ყოველივე თავის მოწყობილებით.
ფასი ძლიერ პირიანია.

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა.

(15—13) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები



ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.


KAKAO
ВАНЪ-ГУТЕНА
საჭიროა ყველამ წესად დაიდოს!
და ჩაის ან ყავის ნაცვლად სვამდეს დილით და ღამით მეტად გამაგრებელ კაკაო ვან-ჰუტენისა
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).
Van Houten's Cacao
Н. НИКОЛЬСКІЙ

პირველი საწყობი
შეშისა
✦ პ. ი. ქურცხალიასი ✦
ანდრეევის ქუჩა, დამუხის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებული დიდ-ძმლი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელის და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარი პავოზებით კისრულობს. შეშა იყიდება საკუთნობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაცეის თავის თვალ წინ დაავემინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დღემდელ სარჯებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
90—35) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მაღალ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისს და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—21)

იყიდება შემთხვევით ორ ოთახიანი სახლი; ადგილი 80 ოთხკ. საჟენია. მე-9 ნაწილში, ნორიოს აღმართი, მართლმადიდებელთა სასაფლაოს აქეთ. იკითხეთ მაგდალინა რაზმაძე. (3—283—2)

✦ **კბილებს** ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. **გ. მ. იოხვიძე.** მიხეილის ქ., №108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—172—8)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამომსხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.